პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 21 ნოემბერი, 1948 წ. № 231 (8275). ფასი 20 კაპ.

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ არტილერიის დღეს და აღნიშნავენ არტილერისტებისა და საარტილერიო მრეწველობის მუშაკთა წარმატებებს ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა არტილერიას!

გაუმარჯოს მძლავრი საბჭოთა არტილერიის შემქმნელს, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს—დიდ სტალინს!

ბრძანება

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1948 წლის 21 ნოემბერი № 92 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო არტილერისტებო და საარტილერიო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო, მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ **არტილერიის დღეს** და აღნიშნავენ არტილერისტებისა და საარტილერიო მრეწველობის მუშაკთა წარმატებებს ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებაში.

მოგესალმებით და მოგილოცავთ დღესასწაულს — **არტილერიის დღეს.**

ვუსურვებ შეიარაღებული ძალების არტილერიის პირად შემადგენლობას, საარტილერიო მრეწველობის მუშებს, კონსტრუქტორებს, ტექნიკოსებსა და ინჟინრებს ახალ წარმატებებს საბჭოთა არტილერიის საბრძოლო ძლიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

არტილერიის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1948 წლის 21 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებსა და ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ხაბაროვსკში, ნოვოსიბირსკში, სვერდლოვსკში, გორკში, მოლოტოვსა და ტულაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა არტილერიას!

გაუმარჯოს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მძლავრი საბჭოთა არტილერიის შემქმნელს, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს — დიდ **სტალინს!**

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ბულგანინი

არტილერიის დღე

დღეს ჩვენი ხალხი თავის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა არტილერიის დღეს.

საბჭოთა არტილერია მდიდარია თავისი საბრძოლო ტრადიციებით, რომლის სათავეები რუსი ხალხის შორეული წარსულიდან იწყება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსი არტილერისტები ყოველთვის ითვლებოდნენ თავისი საქმის დიდ ოსტატებად. მაგრამ ჩვენმა მშობლიურმა არტილერიამ თავისი ძლიერების ჭეშმარიტ ამაღლებასა და გაფურჩქნას მიაღწია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, განსაკუთრებით კი დიდი სამამულო ომის წლებში.

ჩვენს ქვეყანაში უყვართ არტილერია, ამაყობენ მით, დაუღალავად ზრუნავენ მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. ეს გასაგებიც არის. საბჭოთა კავშირი ითვლება პირველხარისხოვანი არტილერიის სამშობლოდ. ჩვენმა არტილერიამ დაიკავა და მტკიცედ ინარჩუნებს პირველ ადგილს მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა ხალხი, მისი შეიარაღებული ძალები მშობლიური არტილერიის ასეთ მძლავრ განვითარებას უმადლიან ამხანაგ სტალინის გენიას. სწორედ ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა საბჭოთა არტილერიის განვითარების გზები.

1937 წელს, კრემლში, საბჭოთა ავიაციის მიღწევათა დღესასწაულის დღეს, ამხანაგმა სტალინმა თქვა: „თანამედროვე ომში საქმე მარტო ავიაციას როდი ეხება. ომის წარმატებას მარტო ავიაცია არა წყვეტს. ძალიან ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ომის მოგება მარტო მძლავრი ავიაციის შემწეობით შეიძლება. თუ თვალს გადავავლებთ ისტორიას, დავინახავთ, რა დიდ როლს ასრულებდა ყველა ომში არტილერია. ავიაცია ბრძოლის ველზე შედარებით ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა; იგი მოწინააღმდეგესთან პირველ ბრძოლას იწყებს ღრმა ზურგში, შიშსა და პანიკას იწვევს, თავზარს სცემს მტერს მორალურად, მაგრამ ეგ ის როდია, რაც საჭიროა მოწინააღმდეგის საბოლოოდ გასანადგურებლად და მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ომის წარმატების გადასაწყვეტად ყოველთვის საჭირო იყო არტილერია. რით იმარჯვებდა ნაპოლეონი? — უწინარეს ყოვლისა არტილერიით. რით გაანადგურეს 1870 წელს სედანთან ფრანგები? — უმთავრესად არტილერიით. მსოფლიო ომში ვერდენთან რით ამარცხებდნენ ფრანგები გერმანელებს? — უმთავრესად არტილერიით. ომის წარმატებისათვის ჯარის განსაკუთრებით ძვირფასი გვარეობა არის არტილერია. მე მსურს ჩვენმა არტილერიამ გვიჩვენოს, რომ იგი პირველხარისხოვანია“.

დიდი ბელადის ამ მითითების განსახორციელებლად მთელი ჩვენი ქვეყანა მუშაობდა. საარტილერიო მრეწველობის მუშებმა, გამოჩენილმა კონსტრუქტორებმა, ტექნიკოსებმა და ინჟინრებმა თავიანთი თავდადებული შრომით უზრუნველყვეს ჩვენი შეიარაღებული ძალები პირველხარისხოვანი საარტილერიო ტექნიკით. ამ ტექნიკით აღჭურვილმა საბჭოთა არტილერიამ თავისი გამანადგურებელი ცეცხლით წარსული ომის ყველა ფრონტზე მძიმე ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგის ქვეითს ჯარს, ტანკებს, არტილერიასა და ავიაციას.

საბჭოთა არტილერია, როგორც ეს თვალნათლივ დაგვანახვა დიდმა სამამულო ომმა, ძლიერია არა მარტო თავისი ტექნიკით, ის ძლიერია აგრეთვე თავისი სტრატეგიითა და ტაქტიკით, ის ძლიერია თავისი ადამიანებით — რიგითი ჯარისკაცებით, სერჟანტებით, ოფიცრებითა და გენერლებით.

ჩვენმა სახელოვანმა არტილერისტებმა მაღალი მორალური თვისებანი და განსაკუთრებული ოსტატობა გამოავლინეს მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. ვაჟკაცობა, მამაცობა, გმირობა — საბჭოთა მეომრების, მათ შორის არტილერისტების განუყრელი თვისებაა, რომელიც მათში აღზარდა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ. ჩვენს არტილერისტებს ტყუილად როდი უწოდებენ სტალინურ არტილერისტებს. მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნიზმის საქმისათვის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ისინი აღზარდა ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორმა, დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა.

საბჭოთა არტილერისტების დიდ ოჯახს ამშვენებენ ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხთა შვილები. მათ შორის არიან ქართველი ხალხის სახელოვანი შვილებიც, რომელთა საგმირო საქმეები სიამაყის კანონიერ გრძნობას იწვევს. მამაცთა შორის უმამაცესთ — ქართველ არტილერისტებს გალაქტიონ ალფაიძეს, ვიქტორ ლესელიძეს, ალექსი პირმისაშვილს, კონსტანტინე ტყაბლაძეს, ვლადიმერ ხარაზიას, ბორის წულუკიძეს, კონსტანტინე ცუცქირიძეს, ვარლამ გაბელიას, ივანე გვენცაძეს, გრიგოლ ბუაჩიძეს და ვლადიმერ გუბელაძეს დიდ სამამულო ომში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ. მათს სახელოვან საბრძოლო ტრადიციებზე იზრდებიან და მომავალშიც აღიზრდებიან გამარჯვების სტალინურ მეცნიერებას დაუფლებული ახალგაზრდა არტილერისტები.

დღეს ჩვენ ვამაყობთ საბჭოთა არტილერიის არა მარტო სახელოვანი წარსული საქმეებით, არამედ აგრეთვე იმით, რომ ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ჩვენი არტილერია კიდევ უფრო განვითარდა და სრულყოფილი გახდა.

დღევანდელი დღე საბჭოთა არტილერიის, მისი პირადი შემადგენლობის წარმატებათა და მიღწევათა დათვალიერების დღეა. თავის დღესასწაულს ჩვენი არტილერისტები საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მაღალი მაჩვენებლებით ხვდებიან. ისინი მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად ფხიზლად დგანან საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე.

ქართველი ხალხი, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვის მეოთხე სტალინური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საპროგრამო დავალებათა შესასრულებლად, ფხიზლად ადევნებს თვალყურს, თუ რა ხრიკებს მიმართავს საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქცია, რომელიც ცდილობს თავს მოახვიოს კაცობრიობას ახალი სისხლისმღვრელი ომი. ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთ ახსოვთ, რომ მშვიდობის ყველაზე მტკიცე და საიმედო გარანტიას წარმოადგენს საბჭოთა სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცება. ამის ღრმა შეგნებით გამსჭვალული საბჭოთა ხალხი არ დაიშურებს თავის ძალღონეს ახალ გამარჯვებათა მოპოვებისათვის კომუნიზმის მშენებლობის დიდ გზაზე, კვლავაც გააძლიერებს თავის მზრუნველობას თავისი შეიარაღებული ძალებისა და მისი არტილერიისადმი, მომავალშიც შეაიარაღებს მას მოწინავე და სრულყოფილი საბრძოლო ტექნიკით.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა არტილერიას!

დიდება ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს!

არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

20 ნოემბერს თბილისის ოფიცრის საოლქო სახლში შედგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა, პარტიული, საზოგადოებრივი, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საყოველთაო სახალხო დღესასწაულის—არტილერიის დღისადმი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები—გ. გოჩაშვილი, მ. კაზაკოვი, ე. ჩერქეზია, ა. ჯიშიაშვილი, ი. ზოდელავა, ვ. კუპრაძე, გ. კიკნაძე, გ. ჯაშა, მ. მემარნიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ვ. კიზირია, გენერლები—სოკოლსკი, გულევიჩი, კანცელსონი, ბაბალაშვილი, სანკო, პარვოვი და სხვები.

საზეიმო სხდომა გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. გოჩაშვილმა.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს.

არტილერიის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-პოლკოვნიკმა სოკოლსკიმ.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება დიდი სტალინისადმი.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

* * *

ოფიცრის სახლის ერთ-ერთ დარბაზში მოწყობილია ფოტოგამოფენა, სადაც ასახულია არტილერიის როლი დიდ სამამულო ომში და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის არტილერისტების საბრძოლო სწავლა. გამოფენაზე მოთავსებულია არტილერისტი მეომრების — საბჭოთა კავშირის გმირების პორტრეტები. (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი
იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ფოტო კორიგინისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ვ. ი. ლენინის ძეგლი ციმბირის სოფელში

ომსკი, 19 ნოემბერი. (საქდესი). სოფელ ოკონეშნიკოვოში საბჭოების სახლთან მოედანზე აგებულია ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა VII ტომის გამოცემა უკრაინულ ენაზე

კიევი, 18 ნოემბერი, (საქდესი). უკრაინის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ უკრაინულ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა VII ტომი, რომელიც მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის უკრაინის ფილიალმა.

წიგნი გამოცემულია 100-ათასიანი ტირაჟით.

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება ქართულ ენაზე

გამომცემლობა „კომუნისტმა“ ცალკე ბროშურად გამოსცა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31 წლისთავი“. ბროშურის ტირაჟია 20 ათასი.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ახალი გამოცემა

სტალინირი, (საქ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ამ დღეებში გამოსცა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ოსურ ენაზე.

წიგნი ჩასმულია მაგარ ყდაში და ლამაზად არის გაფორმებული.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში სწავლების ახალი ვადა

რსფსრ, ბელორუსიის, ყაზახეთის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების, აგრეთვე მოლდავეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში დაწესებულია სწავლების ოთხწლიანი ვადა. სწავლების სამწლიანი ვადა რჩება შემდეგ სპეციალობათათვის: საბუღალტრო აღრიცხვა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და მეთევზეობა. (საქდესი).

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ხორცის დამზადების გეგმა შეასრულეს 108,4 პროცენტით, რძისა—105,4 პროცენტით, ტყავისა—100 პროცენტით.

ნატურანაზღაურების ანგარიშში სიმინდის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 199,6 პროცენტით.

ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის ჩამტარებელი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი

დიდი რუსი მწერლის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით, რაც 1949 წლის ივნისში სრულდება, შექმნილია რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ს. ი. ჩიქოვანი (თავმჯდომარე), ი. ვ. აბაშიძე, ლ. ნ. ასათიანი, ა. კ. გომიაშვილი, შ. ნ. დადიანი, ს. ე. დანელია, გ. ნ. ჯიბლაძე, ბ. დ. ჟღენტი, ი. ს. ზოდელავა, პ. მ. კანდელაკი, ნ. ნ. კეცხოველი, კ. ს. კეკელიძე, ლ. მ. ქიაჩელი, გ. ი. კიკნაძე, ვ. დ. კუპრაძე, გ. ნ. ლეონიძე, ა. ა. მაშაშვილი, ბ. გ. ნანიტაშვილი, გ. კ. ნატროშვილი, ნ. ვ. პავჩინსკი, ა. კ. ხარაძე, ვ. ა. ხატიაშვილი, ა. ა. ხორავა, გ. მ. ცეცხლაძე, კ. ა. ჭიჭინაძე, ა. გ. შანიძე, ა. ი. შანშიაშვილი, ვ. ი. ეგნატაშვილი.

რესპუბლიკურ კომიტეტს დაეკისრა ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისათვის მზადების ჩატარება, აგრეთვე დიდი რუსი მწერლის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულის ქართულ ენაზე გამოცემის მომზადება. (საქდესი).

ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები რუმინეთში

ბუქარესტი, 19 ნოემბერი. (საქდესი). ბუქარესტში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები. საბჭოთა მსახიობების გამოსვლები ყველგან იქცევა საბჭოთა კავშირის ხალხებისა და ამხანაგ სტალინისადმი რუმინელი ხალხის მეგობრობისა და სიყვარულის დემონსტრაციად.

ანსამბლის გამოსვლებს უდიდესი წარმატება ჰქონდა მუშათა აუდიტორიაში: ბუქარესტის ტრამვაის საზოგადოებასა და ჯიულეშტის რკინიგზელთა კლუბში.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

18 ნოემბერს შედგა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეხუთე ტური.

ლევენფიშ-ლილიენტალის პარტია 39-ე სვლაზე ლილიენტალის დამარცხებით დამთავრდა. ტურნირის ლიდერის გროსმაისტერ კოტოვისა და ოსტატ ხოლმოვის პარტია გადაიდო, აგრეთვე გადადებულია პანოვ-ბრონშტეინის, კონსტანტინოპოლსკი-არონინისა და ლისიცინ-ალატორცევის პარტიები.

ფურმან-ავერბახის პარტია პირველის გამარჯვებით დამთავრდა.

ტაიმანოვ-ტოლუშისა და ბონდარევსკი-ფლორის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ილივიცკი-რაგოზინის პარტია არ შემდგარა რაგოზინის ავადმყოფობის გამო.

ხუთი ტურის შემდეგ კვლავ წინ არის გროსმაისტერი კოტოვი, რომელსაც 4 ქულა აქვს 4-ში და ერთი გადადებული პარტია, ტოლუშს 5-ში 3 ქულა აქვს. (საქდესი).

* * *

19 ნოემბერს გათამაშდა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მე-6 ტური.

პირველი გამარჯვება მოიპოვა გროსმაისტერმა ფლორმა, რომელიც ლენინგრადელ ოსტატს ფურმანს ეთამაშებოდა. ლისიცინ-კონსტანტინოპოლსკის, არონინ-ილივიცკის, ლილიენტალ-ალატორცევის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

კოტოვისა და რაგოზინის ავადმყოფობის გამო ტოლუშ-კოტოვისა და რაგოზინ-პანოვის პარტიები არ შემდგარა. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

20 ნოემბერს გათამაშდება დაუმთავრებელი პარტიები. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლავრი საბჭოთა არტილერია

დღეს სტალინური არტილერიის დღეა, ჩვენი შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი უძლიერესი გვარეობის ჯარების დათვალიერების დღე. ამ დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები პატივს სცემენ გულად არტილერისტებს, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დღეებში, აღნიშნავენ შრომით საგმირო საქმეებს თავდაცვითი მრეწველობის მუშაკებისას, რომლებმაც უხვად უზრუნველყვეს საბჭოთა არმია პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით.

თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს საბჭოთა არტილერისტები ხვდებიან საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მოპოვებული დიდი მიღწევებით. დიდ სამამულო ომში შესანიშნავ გამარჯვებათა შარავანდედით მოსილნი, არტილერიის ნაწილები და ქვეგანაყოფები შეუპოვრად და მტკიცედ იბრძვიან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა საბრძოლო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სამ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ომის ქარიშხალი ჩადგა. საბჭოთა ხალხი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პათოსმა მოიცვა. მაგრამ დიდი სამამულო ომის გმირული ამბები ცოცხალია ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

ომის განსაცდელში საბჭოთა არტილერისტებმა, ისევე როგორც ყველა სხვა გვარეობის ჯარების მეომრებმა, თავი გამოიჩინეს როგორც სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებმა, მამაცმა და გაბედულმა მებრძოლებმა, მტრის წინააღმდეგ გამანადგურებელი დარტყმების ოსტატებმა. პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებული საბჭოთა არტილერია თავისი გამანადგურებელი ცეცხლით მძიმე ზარალს აყენებდა მოწინააღმდეგეს. გაითვალისწინა რა საბჭოთა არტილერისტების საბრძოლო დამსახურება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა ჩვენს ქვეყანაში „არტილერიის დღის“ ყოველწლიური დღესასწაული.

საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი მძლავრი არტილერიით, რომელიც ჩვენი არმიის მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენს. ასეთი პირველხარისხოვანი არტილერიის შექმნას საბჭოთა ხალხმა ბევრი ენერგია, შემოქმედება და მატერიალური სახსრები მოახმარა.

თავისი არსებობის ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენმა არტილერიამ—ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ შექმნილი და ბოლშევიკური პარტიის მიერ გამობრძმედილი საბჭოთა არმიის ნაწილმა — ზრდისა და საბრძოლო სრულყოფის სახელოვანი გზა განვლო. დიდი სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა არტილერისტებმა სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს ჩვენი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში.

საბჭოთა არტილერიამ მემკვიდრეობით მიიღო ყოველივე ის, რაც საუკეთესო იყო რუსეთის არმიის არტილერიაში. საუკუნეთა მანძილზე ჩვენი არტილერია ჯარების უძლიერეს გვარეობას წარმოადგენდა, რუს არტილერისტთა საბრძოლო ოსტატობა ფართოდ იყო ცნობილი ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. მაგრამ ჩვენი ქვეყნის არტილერიის ნამდვილი აყვავება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაიწყო. იმ მომენტში, როცა ახალგაზრდა წითელი არმია იქმნებოდა, საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა არტილერიასაც. თავდაპირველად იგი მცირერიცხოვანი იყო, საკმაო რაოდენობით არ ჰქონდა საჭურველი და საომარი მასალები. და მაინც წითელი არმიის არტილერისტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ინტერვენტებთან და შინაგან კონტრრევოლუციასთან ბრძოლებში. ჩვენი არტილერისტები მამაცურად იბრძოდნენ ცარიცინთან და პეტროგრადთან, კახოვკის პლაცდარმზე და პერეკოპთან, თავიანთი მარჯვე ცეცხლით ეხმარებოდნენ ქვეითსა და ცხენოსან ჯარს მტრის ურდოების განადგურებაში.

დიდი სამამულო ომის წინა წლებში საბჭოთა არტილერია ხელახლა იქნა შეიარაღებული. ახალმა საარტილერიო სისტემებმა შესაძლებელი გახადეს თანამედროვე ბრძოლის ყველაზე რთული ცეცხლითი ამოცანების გადაწყვეტა. ნიჭიერმა საბჭოთა კონსტრუქტორებმა, სტალინური სკოლის აღზრდილებმა, ჩინებული ზარბაზნები და ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები და მორტირები შექმნეს. ჩვენი ქვეყანა ამაყობს ისეთ კონსტრუქტორთა წარმატებებით, როგორიც არიან სოციალისტური შრომის გმირები ვ. გ. გრაბინი, ფ. ფ. პეტროვი, ი. ი. ივანოვი და სხვები.

ომისწინა სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულებამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვექმნა მძლავრი საარტილერიო მრეწველობა, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი შეიარაღებული ძალები საჭირო საჭურვლითა და საომარი მასალებით. სოციალისტური სახელმწიფოს ინდუსტრიულმა ძლიერებამ განსაკუთრებით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის დღეებში, როცა საბჭოთა მრეწველობამ ფრონტს მისცა ასეულათასობით სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, მილიონობით ყუმბარა, ბომბი და ნაღმი.

დიდი სამამულო ომი მძიმე განსაცდელი იყო ჩვენი სამშობლოსათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის. საბჭოთა ხალხმა ღირსეულად გაუძლო ამ განსაცდელს. ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებულმა ძალებმა გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის წინამძღოლობით არა მარტო მოიგერიეს ჰიტლერელთა შემოტევა, არამედ მთლიანადაც გაანადგურეს ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების არმიები. საბჭოთა არტილერიამ შესანიშნავი როლი შეასრულა მტერზე გამარჯვების მოპოვებაში. არ ყოფილა არც ერთი ბრძოლა, რომელშიც საბჭოთა არტილერიას უდიდესი ზარალი არ მიეყენებინოს მტრისათვის ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ.

„როგორც ცნობილია, არტილერია იყო ის ძალა, რომელიც დაეხმარა წითელ არმიას შეეჩერებინა მტრის წინსვლა ლენინგრადისა და მოსკოვის მისადგომებთან.

არტილერია იყო ის ძალა, რომელმაც უზრუნველყო წითელი არმიის მიერ გერმანელთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან და ვორონეჟთან, კურსკთან და ბელგოროდთან, ხარკოვთან და კიევთან, ვიტებსკთან და ბობრუისკთან, ლენინგრადთან და მინსკთან, იასისთან და კიშინიოვთან“ (ი. სტალინი).

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა არტილერიის წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი ამოცანა—დახმარებოდა საბჭოთა არმიის ნაწილებს გერმანელთა ჯავშანსატანკო დივიზიების წინსვლის შეჩერებაში, მწყობრიდან გამოეყვანა მტრის რაც შეიძლება მეტი ტანკი. ეს დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანა წარმატებით გადაწყდა. ფაშისტთა ტანკებთან ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ყველა სახის ჩვენი არტილერია, მაგრამ გადამწყვეტი როლი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიას ეკუთვნოდა. ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ტანკსაწინააღმდეგო ბრძოლის საშუალებათა განვითარებას. შეიქმნა გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკები, გამოყენებული იყო ახალი ზარბაზნები, რომლებიც ძლიერი ჯავშანგამტანი მოქმედების ყუმბარებს ისროდნენ. 1941 წლის შემოდგომაზე მოსკოვის მისადგომებზე ასობით დარჩა გერმანელების დამსხვრეული და დამწვარი ტანკები. ასეთი იყო ჩვენი არტილერიის შემმუსვრელი დარტყმების შედეგი. მოსკოვის ახლო ველებზე იშვა საბჭოთა გვარდიული არტილერია, და პირველნი, ვინც ამ საპატიო წოდების მიღების ღირსი გახდა, ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკები იყვნენ.

გერმანელთა სატანკო ჯარებს არანაკლები ზიანი მივაყენეთ დიდი სამამულო ომის სხვა ბრძოლებშიც. სტალინგრადის ველებსა და კურსკის რკალზე განადგურებულ იქნენ გერმანიის არმიის საუკეთესო სატანკო დივიზიები. გერმანელებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაკარგეს ათეულათასობით თავიანთი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, მათ შორის ზემძლავრი „ვეფხვები“ და „სამეფო ვეფხვები“. მტრის ამ ტექნიკის მეტი ნაწილი საბჭოთა არტილერიის მარჯვე ცეცხლმა მოსპო.

საბჭოთა არტილერია — თავდაცვის ფოლადის ფარი, რომელზეც იმსხვრეოდა მოწინააღმდეგის გააფთრებული იერიშები — ამავე დროს მძლავრ ტარანს წარმოადგენდა შეტევის დროს. „თავისი გამანადგურებელი ცეცხლით არტილერია წარმატებით უკაფავდა გზას ქვეითს ჯარსა და ტანკებს სამამულო ომის უდიდეს ბრძოლებში, რის შედეგადაც მტერი განდევნილი აღმოჩნდა ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან“ (ი. სტალინი). ჩვენი ჯარების ყოველი შეტევითი ოპერაცია იწყებოდა მძლავრი საარტილერიო ცეცხლით, რომელშიც ათასობით ქვემეხი და ნაღმსატყორცნი მონაწილეობდა. ასეთი მასირებული ცეცხლი, კარგად დაგეგმილი და უნარიანად წარმართული, ანგრევდა ყველაზე სრულყოფილ სიმაგრეებს, ახშობდა მტრის საცეცხლე სისტემას, სპობდა მოწინააღმდეგის ათასობით ჯარისკაცსა და ოფიცერს და საშუალებას აძლევდა საბჭოთა ქვეითს ჯარსა და ტანკებს განევითარებინათ სწრაფი წინსვლა.

1942 წლის 19 ნოემბერს სტალინგრადთან, რომელმაც სამი თვის ალყას გაუძლო, დაიწყო საბჭოთა ჯარების ისტორიული კონტრშეტევა ფელდმარშალ პაულიუსის გერმანელთა 330-ათასიანი დაჯგუფების წინააღმდეგ. ეს ოპერაცია უზრუნველყოფილი იყო უმაგალითო ძალის საარტილერიო დარტყმებით.

სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ საბჭოთა არმიის ნაწილები დასავლეთისაკენ გაეშურნენ და მშობლიურ მიწა-წყალს სწმენდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. ჰიტლერელები აგებდნენ მძლავრ თავდაცვითს ნაგებობებს, დასაყრდენ პუნქტებს, ყოველგვარ დაბრკოლებებს, მაგრამ ისინი ვერ უძლებდნენ ჩვენი არტილერიის ცეცხლითს დარტყმებს. ყველა გვარეობის ჯარების შეთანხმებული დარტყმები ყოველთვის იწვევდნენ მტრის ფრონტის გარღვევას და მოწინააღმდეგის დიდ დაჯგუფებათა მოსპობას. ასე მოხდა ორიოლთან და ბელგოროდთან, მდინარე მიუსზე, კორსუნ-შევჩენკოვსკისთან, ნიკოპოლის პლაცდარმზე, ყირიმში, კარელიის ყელზე, ბელორუსიაში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში, აღმოსავლეთ პრუსიაში, ბუდაპეშტთან—საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ყველა უბანზე.

საბჭოთა არმიის შეტევითი ძლიერება და ჩვენი არტილერიის ცეცხლის სიმძლავრე განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა ბერლინისათვის ბრძოლაში. ამ ისტორიულ ბრძოლაში მონაწილეობდა 8.400 საბრძოლო საბჭოთა თვითმფრინავი, 6.300-ზე მეტი ტანკი და 41.000 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. ბერლინის იერიშში, რომელსაც დასავლეთში ომის დამთავრება მოჰყვა, ჩვენმა არტილერიამ ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი შესანიშნავი საბრძოლო თვისებანი.

ასევე ყოვლისშემმუსრავი იყო საბჭოთა არტილერიის დარტყმები მანჯურიის ველებზე, სადაც განადგურებულ იქნა იაპონელთა კვანტუნის სანაქებო არმია. ამ განადგურებამ გადაწყვიტა ომის ბედი შორეულ აღმოსავლეთშიც.

სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის 1.600-ზე მეტ არტილერისტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 1.200 ათასზე მეტი გენერალი, ოფიცერი, სერჟანტი და ჯარისკაცი არტილერისტი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ბევრი საარტილერიო ნაწილი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით, გარდაქმნილია გვარდიულ ნაწილებად და მიიღო საკუთარი სახელწოდებანი.

საბჭოთა არტილერიის მრისხანე ზალპებში განსახიერებული იყო ჩვენი სამშობლოს პატრიოტთა თავდადებული შრომა. ჩვენი არტილერია ეყრდნობოდა სოციალისტური მრეწველობის დიდ წარმატებებს, საბჭოთა ზურგის მშრომელთა დახმარებას. მარტო სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხანამ მისცა ფრონტს 100 ათასი ქვემეხი. ომის წლებში ჩვენმა სამხედრო მრეწველობამ 29-ჯერ მეტი ქვემეხი და 89-ჯერ მეტი ნაღმსატყორცნი დაამზადა იმასთან შედარებით, რაც დამზადებული იყო მეფის რუსეთის მრეწველობის მიერ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. საბჭოთა არმიამ დიდი სამამულო ომის წლებში მიიღო 775,6 მილიონი საარტილერიო ყუმბარა და ნაღმი,—14-ჯერ მეტი, ვიდრე მეფის არმიამ 1914-1917 წლებში მიიღო. საბჭოთა არმია არ განიცდიდა არც საარტილერიო საჭურვლის და არც საომარი მასალების ნაკლებობას.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა ზეიმით იდღესასწაულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავი. ჩვენმა ხალხმა უდიდესი მიღწევებით აღნიშნა თავისი დიადი დღესასწაული. მაგრამ მშვიდობიან, შემოქმედებით შრომაში ჩაბმული საბჭოთა ხალხი ერთი წუთითაც არ ივიწყებს საერთაშორისო რეაქციის ხრიკებს, რომელიც ახალი ომის ცეცხლის გაჩაღებას ცდილობს.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე დგანან. „მშვიდობისა და უშიშროების საქმე, ჩვენი სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფის საქმე მოითხოვს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, მათ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად“ (ნ. ბულგანინი).

საბჭოთა არტილერისტები პირნათლად ასრულებენ მოთხოვნას საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განუწყვეტელი განმტკიცების შესახებ.

არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი
ი. პრიჩკო



შორსმსროლელი არტილერია წითელ მოედანზე 1948 წლის 7 ნოემბრის პარადზე.
ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

სალამო რეიდზე

(არტილერისტის ნაამბობი)

საარტილერიო მეცადინეობის შემდეგ კრეისერი „წითელი კავკასია“ სევასტოპოლის რეიდზე იდგა.

ბატარეის ზემდეგი თევდორე ბუქვახოვი ბაქანზე გამოვიდა. ბინდდებოდა. ლურჯად მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. მთვარე ვერცხლისფერი შუქით ანათებდა გემს.

მოაჯირზე დაყრდნობილი ზემდეგი ჩიბუხს ეწეოდა. ის დღევანდელი სროლის შედეგის გამო გახარებული იყო: ახალგაზრდა არტილერისტებმა კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს. ცოტა როდი იშრომა თევდორემ ამ მაჩვენებლების მისაღწევად!

ბუქვახოვს სიმღერა მოესმა. სახეზე კმაყოფილების იერი გადაეკრა, გაეღიმა. ეს მატროსები მღეროდნენ. თევდორე დაპირებული იყო ეამბნა მათთვის ფლოტის არტილერიის ბრძოლების შესახებ. მართლაც და, საამბობი ბევრი რამ ჰქონდა!...

სიმღერა შეწყდა. არტილერისტები თავიანთი საყვარელი მეთაურის ირგვლივ ჩამოსხდნენ, მოსასმენად მოემზადნენ. ზემდეგმა მოთხრობა დაიწყო.

* * *

ეს იყო 1942 წლის 19 ივნისს, როდესაც სევასტოპოლის ირგვლივ მიწა ზანზარებდა. ლეგენდარულ ქალაქს რვა თვე უსრულდებოდა, რაც თავს იცავდა ფაშისტთა რიცხობრივად ჭარბი ძალების იერიშებისაგან.

მატროსები გემებიდან მიწაზე გადადიოდნენ, რომ თავიანთი მკერდით დაეცვათ მშობლიური ქალაქი. კრეისერიდან გადმოვედით მე და ანდრია ქურხული, რომელიც შემდეგში ჩემი ქვემეხის მეთაური გახდა. ჩვენ მას უბრალოდ ანდროს ვეძახდით. ის ყველას უყვარდა გულახდილობისა და სიმამაცის გამო. ანდროს უსაზღვროდ სძულდა ფაშისტები, რომლებიც მისი სამშობლოს დასაპყრობად მოძვრებოდნენ, ცდილობდნენ გადაეთელათ მზიური საქართველო, წაერთმიათ მისი საყვარელი მერი, რომელიც მას ელოდა ვენახსა და ბაღნარში წამომდგარ პატარა სახლში.

— ეჰ, გავანადგურებთ ფრიცებს და ისეთ ქორწილს გადავიხდი, ცამდე აღწევდეს ჩვენი სიმღერის ხმა, — გვეტყოდა ხოლმე ხანდახან.

იმ დღეს მაიორ რადავსკის საარტილერიო დივიზიონმა ბრძანება მიიღო, რადაც უნდა დასჯდომოდათ შეეჩერებინათ მტერი ქალაქის შორეულ მისადგომებზე. ბრძოლის წინ მიტინგი გაიმართა. არტილერისტებმა ფიცი დასდეს დახოცილიყვნენ, მაგრამ არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაეხიათ.

ანდრო ქურხულმაც წარმოთქვა სიტყვა.

ცხელოდა. თეთრი ღრუბლები ზანტად მოიწევდნენ აღმოსავლეთისაკენ.

ანდრო პატარა ბორცვზე იდგა, თავის ქვემეხის ახლოს. ის იყო ტანმაღალი, მხრებგანიერი. ხაკის ხალათი ეცვა, რომლის შიგნიდანაც მეზღვაურის ზოლებიანი პერანგი მოჩანდა. ნელი ნიავი მისი თმის კულულებს ეთამაშებოდა. ანდრო ქურხული ჩემს ხსოვნაში სამუდამოდ ასეთი დარჩა.

— ჩვენ დაუნდობლად გავანადგურებთ მტერს. სიცოცხლეს მოვუსწრაფებთ მათ. ვიბრძოლებთ ხიშტით, ტყვიით, ყუმბარით. არც ერთი ჩვენგანი არ შედრკება მტრის წინაშე! — ხმამაღლა და გარკვევით ამბობდა ის.

ამ დაძაბულ წუთებში ბატარეის საუკეთესო ადამიანები ბოლშევიკურ პარტიაში შედიოდნენ.

შუადღეზე ბრძოლა დაიწყო. ჩრდილოეთიდან გზაზე გერმანელთა ტანკები გამოჩნდნენ.

— ფაშისტური ტანკებისაკენ ცეცხლი!....

ჩვენი ბატარეის მძლავრმა ქუხილმა შეარყია ჰაერი. ფრიცების საპასუხო ყუმბარები სადღაც ჩვენს ზურგს უკან ეცემოდნენ. მეორე და მესამე გასროლის შემდეგ ფრიცები ვაიძულეთ უკან გაბრუნებულიყვნენ, მაგრამ მიუხედავად ჩვენი სასტიკი წინააღმდეგობისა, გერმანელები კვლავ გადმოვიდნენ იერიშზე. მეტად მრავალრიცხოვანი იყვნენ ისინი. განადგურებული ტანკების ნაცვლად ახალ-ახალ ტანკებს გზავნიდნენ. ბევრი ჩვენი ამხანაგი გმირულად დაეცა. მწყობრიდან გამოვიდა მესამე ქვემეხი, საკომანდო პუნქტთანაც კავშირი შეგვიწყდა.. დახმარებას არსაიდან არ მოველოდით.

— ქვემეხის მეთაური მოკლეს! — დაიძახა მეორე ქვემეხის დამტენმა. სწორედ იმავე წუთში ჩვენს ახლოს გასკდა ყუმბარა.

გერმანელები ხელახალ იერიშზე გადმოდიოდნენ.

ორი ქვემეხი, ექვსი კაცი და ოციოდე ყუმბარა — აი, ის ძალა, რომელიც უმკლავდებოდა იერიშზე მეხუთედ გადმოსულ გერმანელთა ტანკებს.

— ამხანაგებო! — გაისმა ანდროს ხმა მოახლოებული მანქანების გუგუნში, — აქ დავიხოცოთ! არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს ზურგში ჩვენთვის მიწა არ არსებობს!

ამ ხმაში იგრძნობოდა ახალი მეთაურის უფლებამოსილობა და ჩვენ დავემორჩილეთ მის ნებას.

პირდაპირი დამიზნებით გასროლილი ყუმბარები მიზანში ხვდებოდნენ. კვამლში გაეხვია ჯერ პირველი, შემდეგ მეორე ტანკი. გორაკის ძირიდან მესამე ტანკი გამოჩნდა. ის მოიწევდა მეზობელი ქვემეხისაკენ, რომელიც რატომღაც დუმდა.

იმავე წუთში ფეხში რაღაც მომხვდა და ძირს დავეცი.

— მარცხენა ტანკს ცეცხლი დაუშინეთ — გააფთრებით დაიძახა ანდრომ, მაგრამ, როდესაც გვერდზე მიიხედა, დაინახა, რომ მებრძოლები ქვემეხთან პირქვე იწვნენ. მე დავინახე ანდროს მრისხანე სახე. დამუშტული ხელებით მიირბინა მან ყუმბარასთან, ჩასჭიდა ხელი, ქვემეხი დატენა და ტანკს პირდაპირი დამიზნებით ესროლა. გიგანტური მანქანა სწრაფად შეტრიალდა და ჩაქვდა. მეოთხე ტანკმა პირი იბრუნა.

— ცოცხალი ხარ? — გახარებული მოვარდა ჩემთან ანდრო. ის მუხლებზე დაეშვა და შიგ ყურში ჩამჩურჩულა:

— თევდორე, ძვირფასო... შესძლებ წასვლას?... შესძლებ... მოვალე ხარ... მოახსენე... ყუმბარები გათავდა. მე მათ აქ... შევაჩერებ...

ძალა არ შემწევდა უარი მეთქვა. ამას სამშობლო მოითხოვდა. ხოხვით წავედი საკომანდო პუნქტისაკენ. ახალი შემოტევის წინ ანდრო მარტო დავტოვე.

როდესაც ბრძოლის ადგილას დავბრუნდით, მზე უკვე ჩადიოდა. ქვემეხის ახლოს გერმანელთა ტანკი იწვოდა. ჭრილობისაგან ტკივილს არაფრად ვაგდებდი. მაშინვე ჩვენს ქვემეხთან მივირბინე. იქ, ბალახზე, ორიოდე ნაბიჯის მოშორებით პირქვე იწვა ანდრო, იწვა უკანასკნელ ყუმბარაზე ხელებშემოხვეული. მზრუნველად ავიყვანეთ ხელში. მკერდზე სისხლის ზოლი გადავლებოდა. ერთმანეთში არეულ მტვერს, ჭვარტლსა და სისხლს მისი სახე შეეცვალა.

— ანდრო... თვალი გაახილე! არ გესმის? ეს მე ვარ, თევდორე! ჩვენ მოვედით! — თვალთაგან ცრემლი დამედინა...

ზემდეგი გაჩუმდა. რეიდზე დუმილი გამეფდა. მხოლოდ ქვევით ზღვის ზედაპირზე ზვირთები ალერსიანად ეჯახებოდნენ გემის გვერდებს.

* * *

მეორე დღეს მატროსები ნაპირზე გადავიდნენ. ისინი ავიდნენ ბორცვზე, მიუახლოვდნენ გრანიტის ობელისკს, რომლის ერთ-ერთ მხარეზეც ამოკვეთილია სიტყვები:

„სახელოვან მეზღვაურებს — არტილერისტებს, სევასტოპოლის გმირ დამცველებს, რომელნიც დაეცნენ ქალაქის მისადგომებზე 1942 წლის 19 ივნისს“.

და როდესაც კრეისერმა ღუზა ასწია და ზღვის სიღრმისაკენ მიეშურებოდა, ბუქვახოვმა ობელისკზე შენიშნა ცოცხალი ყვავილების გვირგვინი, რომელიც ახალგაზრდა არტილერისტებს მიეტანათ.

სერგეი სამარკინი

შავი ზღვის ფლოტი. 1948 წლის ნოემბერი.

ცეცხლი!

ღამით, როგორც კი ორთქლმავალი დეპოში შესრიალდა, ახალგაზრდა მემანქანე სერგო ახალკაცმა კიბის შეჰირხლული საფეხურები მარდად ჩამოირბინა და ელექტროჭაღის შუქზე ნაწილები გულდასმით შეამოწმა. მორიგი რეისი სახელოვნად დასრულდა.

ნოემბრის ცივი ქარი მოუსვენრად აშრიალებდა დეპოს წინ ჩამწკრივებულ ხეივნებს... საამქროებში კი ღამის ცვლები თავდადებულად მუშაობდნენ. სამჭედლოში ცეცხლის ენები ეხვეოდნენ რკინას. ორთქლმავლის ქვაბში ლომივით ტრიალებდა სახელმოხვეჭილი სტახანოველი ზეინკალი ბაგრატ ხმიადაშვილი. დეპოელები 5 ნოემბრის აქეთ უკვე 1949 წლის ანგარიშში იძლევიან პროდუქციას. მემანქანე ახალკაცს თვალები გაუბრწყინდა, ქუდი მაღლა აიწია და სამჭედლო საამქროში შევიდა.

— ეს დღე—19 ნოემბერი,—უთხრა მან შესვენებისას გარშემოხვეულ მეგობრებს, —დაუვიწყარია. 1942 წლის 19 ნოემბერს, სწორედ ამ დროს, გათენებისას მთელი ხმით დავძახე: „ცეცხლი!“

და ახალკაცმა ამხანაგებს შემდეგი უამბო.

* * *

გარუჯულ, გაშიშვლებულ ხეებსა და ჩანგრეულ, ჩონჩხივით დარჩენილ შენობათა შორის ღამის წყვდიადი უცებ მოტრასირე ტყვიებმა გადასერეს, ფერად-ფერადმა რაკეტებმა გაანათეს ქალაქ სტალინგრადის განაპირა უბნები... მოსახვევში თეთრად შეღებილი მტრის ტანკები გამოჩნდნენ. ერთი, მეორე, მესამე... სერგო ახალკაცის ბატარეას ნაბრძანები ჰქონდა გადაეკეტა გზა და მოესპო მტრის მანქანები, საცეცხლე წერტები...

— ცეცხლი! — შესძახა მეომრებს. ერთდაიმავე დროს, თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო, ატყდა ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების დაუსრულებელი გრიალი. სუსხიანი ცივი ღამე ყუმბარების ცეცხლით განათდა.

უცბად ქვემეხი დადუმდა. მემიზნე ნიკოლოზ ზოლოტუხინი სისხლით იცლებოდა და თოვლში დაცემულს უკანასკნელად აღმოხდა: ცეცხლი!..

წუთიც და მშობლიურ ქვემეხს გერმანელები დაეპატრონებოდნენ. ერთი მათგანი უკვე ქვემეხის გახურებულ ლულასთან მიიჭრა და ავტომატი მოიმარჯვა. ახალკაცი თვალის დახამხამებაში ეცა მას და ძაღლივით ჩააჩრჩო ნაშქერში, თვითონ მძიმედ დაჭრილი ლასლასით მივიდა მრისხანე ქვემეხთან და შრაპნელით მოსპო მტრის ათეული ჯარისკაცი. ბოლოს მისუსტებული დაეცა და სამჯერ გაიმეორა:

— ცეცხლი ვერაგ მტერს!

საბჭოთა არტილერიამ ამ დღეს სტალინგრადის კარიბჭესთან გმირული ბრძოლის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩასწერა. ერთ-ერთი მათგანი ახალკაცის ბატარეა იყო. მან მტრის რამდენიმე ტანკი, ათეული ძელმიწური, საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი მოსპო.

ახალკაცის ქვემეხებმა ბრძოლით გაიარეს ორიოლის ველები, სმოლენსკის დაბურული ტყეები, კაუნასი და ბოლოს აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარი გადალახეს.

დაუვიწყარი და საამაყოა: ახალკაცის ქვემეხმა პირველმა დაუშინა მომაკვდინებელი ცეცხლი კენიგსბერგის ციხე-სიმაგრეს!

* * *

ომგადახდილმა ახლა შრომის ცეცხლი დაანთო. მისი ორთქლმავალი ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია. წლიური გეგმა უკვე პირველ ნოემბრისათვის შეასრულა. საორთქლმავლო დეპოში ასეთი განა ერთია? ასობით არიან.

მათ შორის აღსანიშნავია ომგადახდილი არტილერისტი ალექსანდრე შენგელია; სამჭედლო საამქროში მასზე ამბობენ, დაზგასთანაც ცეცხლიაო. სტახანოვურ განრიგს ყოველდღე ოთხასი პროცენტით ასრულებს.

სახელმოხვეჭილმა სტახანოველმა ბაგრატ ხმიადაშვილმა არტილერიის დღის აღსანიშნავ ვახტზე დგომისას 14 წლის გეგმა შეასრულა, დღიური დავალება 800 პროცენტით გაანაღდა!

საამქროებში, შახტებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესასრულებლად სახელოვანმა საბჭოთა არტილერისტებმა გმირული შრომისა და შემოქმედების ცეცხლი დაანთეს.

აკ. გოცირიძე

ბალტიის მეზღვაურ არტილერისტთა წარმატებანი

ბალტიის ფლოტი, 19 ნოემბერი. (საკდესი). საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს სტალინური არტილერიის დღეს ბალტიის კომენდორი-მეზღვაურები სასწავლო-საბრძოლო სროლის წარმატებით დამთავრებით ხვდებიან.

მეორე ხარისხის ზემდეგ ლიაკუინის ქვემეხის გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა გემზე. მატროსებმა საუკეთესოდ შეისწავლეს მატერიალური ნაწილი, კარგად მართავენ მექანიზმებს. სასწავლო სროლაში არტილერისტებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. გემის მეთაურმა მათ მადლობა გამოუცხადა.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის წინ სამამულო ომის მონაწილე ოფიცრები კაზანკინი, ბელიკოვი, კალუგინი და სხვები მართავენ საუბრებს საბჭოთა არტილერიის შესახებ, უამბობენ დამსწრეთ გმირ ბალტიელებზე, რომლებიც ულმობლად ანადგურებდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. გემის მხატვარი მატროსი მოროზოვი აფორმებს ვიტრინას: „დამრტყმელი ძალა საბჭოთა არმიისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი

(პროფესორ ვ. მ. პეტრიაშვილის გარდაცვალების 40 წლისთავის გამო)

შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ქიმიკოსის ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილის გარდაცვალების 40 წლისთავი.

ვ. მ. პეტრიაშვილი დაიბადა 1845 წელს თბილისის მახლობლად, სოფელ წალასყურში. მამამ ასწავლა წერა-კითხვა. თერთმეტი წლის იყო, როცა თბილისის სასულიერო სემინარიაში მიაბარეს.

სასტიკი ზედამხედველობის მიუხედავად, სემინარიის კედლებში მაინც ატანდა ნებადაურთველი, როგორც პოლიტიკური, ისე სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო ხასიათის ლიტერატურა. ვ. პეტრიაშვილი ბუნებისმეტყველებამ გაიტაცა და სემინარიის დამთავრების შემდეგ, მამის სურვილის წინააღმდეგ, ახლად გახსნილ ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში შევიდა ჯერ იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდეგ კი გადავიდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე.

ეს იყო პერიოდი, როცა ბუტლეროვის, კეკულეს და სხვათა გამოკვლევების მეოხებით ქიმიაში თანდათანობით მკვიდრდებოდა ახალი შეხედულებანი ორგანულ ნაერთთა ანაგობის შესახებ. ვ. პეტრიაშვილი გაიტაცა იმ პერსპექტივებმა, რომელსაც ახალი — სტრუქტურული თეორია შლიდა ქიმიის წინაშე და უკვე უნივერსიტეტის დამთავრებისას — 1870 წელს გამოაქვეყნა პირველი თავისი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც კვლევის ამ ციკლს ეკუთვნოდა. ვ. პეტრიაშვილი როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, ტექნიკური ქიმიის კათედრასთან იქნა დატოვებული ლაბორანტად. 1870 წელს საზღვარგარეთ მიავლინეს, სადაც მუშაობდა ცნობილი მეცნიერის კეკულეს ლაბორატორიაში, ბონში. 1874 წელს ვ. პეტრიაშვილმა დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „მასალები აზობენზოლის ჯგუფის შესასწავლად". 1875 წელს სექტემბერში მას დაავალეს ტექნიკური ქიმიის კურსის წაკითხვა.

1881 წლის შემოდგომაზე ვ. პეტრიაშვილი არჩეულ იქნა პროფესორად.

1895 წელს ოდესის საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა ვ. პეტრიაშვილის მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლის იუბილე, 1901 წელს კი მას დამსახურებული პროფესორის წოდება მიენიჭა.

1905 წლის რევოლუციამ აიძულა თვითმპყრობელობა ერთგვარი თავისუფლება მიენიჭებინა უნივერსიტეტებისათვის. ვ. პეტრიაშვილი ერთხმად იქნა არჩეული ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად. როგორც უხუცეს დეკანს, მას ხშირად უხდებოდა რექტორის მოვალეობის შესრულება, ხოლო შემდეგ რექტორიც იყო.

* * *

ვ. პეტრიაშვილის პირველი გამოკვლევები ეხება ორგანულ ქიმიას. მან მიიღო და შეისწავლა ახალი აზონაერთები და მათი მიერთების პროდუქტები და გამოსთქვა ახალი აზრი მათი ანაგობის საკითხზე. აზონაერთები მჭიდროდ არის დაკავშირებული საღებავ ნივთიერებებთან. ამიტომ ვ. პეტრიაშვილის გამოკვლევებს არა მარტო თეორიული, არამედ აგრეთვე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა.

ერთ-ერთ ძირითად საკითხს, რომლითაც დაინტერესებული იყო ქიმიკოს-ორგანიკოსთა აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, წარმოადგენდა ორგანული ნაერთების ანაგობის, მათს მოლეკულში ატომების ურთიერთ განლაგების საკითხი. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ვ. პეტრიაშვილის გამოკვლევები, რომელთა საფუძველზე მან გამოარკვია მრავალი ნაერთის ანაგობა და მათი მიღების მეთოდები. უაღრესად საყურადღებოა ვ. პეტრიაშვილის გამოკვლევები, რომელთა მიზანი იყო დაჟანგვის ხასიათსა და დაჟანგვის პროდუქტს შორის დამოკიდებულების გამორკვევა, გამოკვლევები ფუმარისა და მალეინის მჟავას ანაგობის ნათელსაყოფად.

ვ. პეტრიაშვილის გამოკვლევების მეორე ჯგუფი ეკუთვნის ფიზიკურ ქიმიას. ამ გამოკვლევების მიზანია ქიმიური სწრაფვის ცხების დაზუსტება, ქიმიური წონასწორობის, ფუძეებსა, მჟავებსა და მარილებს შორის ურთიერთმოქმედების, მასათა მოქმედების კანონისა და ფიზიკური ქიმიის სხვა პრობლემების შესწავლა, რასაც მან მრავალი მონოგრაფია უძღვნა.

ყველა ეს საკითხი, როგორც ორგანული ქიმიის ციკლიდან, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული აგრეთვე ვ. პეტრიაშვილის უმცროსი ამხანაგისა და მეგობრის, დიდი მეცნიერის პ. მელიქიშვილის კვლევის საგანთან, ისე ფიზიკური ქიმიის ციკლიდან, იმ დროს მთელი მსოფლიოს ქიმიკოსთა ყურადღების ცენტრში იყო. იმ პერიოდში, როცა ოდესაში მოღვაწეობდნენ ნ. სოკოლოვი, ა. ვერიგო, ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი, ოდესის ქიმიური სკოლა რუსეთის ერთ-ერთ მოწინავე ქიმიურ-მეცნიერულ კერად ითვლებოდა.

ვ. პეტრიაშვილი არა მარტო გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარი იყო. ის იყო იმავე დროს შესანიშნავი პედაგოგი, გულისხმიერი და მზრუნველი აღმზრდელი. სამ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში კითხულობდა იგი ტექნიკური ქიმიის კურსს (დროგამოშვებით, ქიმიის სხვა კურსებსაც, მაგალითად, ანალიზურ ქიმიას), რომელსაც სისტემატურად ავსებდა და აუმჯობესებდა. სპეციალისტთა შეფასებით, ეს კურსი დიდ წვლილს წარმოადგენდა ამ დარგის იმდროინდელ მეტად ღარიბ ლიტერატურაში. ვ. პეტრიაშვილი ზრუნავდა არა მარტო კურსის აგებაზე, არა მარტო თხრობის სისადავეზე, არამედ იმაზეც, რომ კურსი ადვილი შესათვისებელი ყოფილიყო სტუდენტებისათვის. მან სანიმუშოდ დააყენა პრაქტიკული მეცადინეობა, ატარებდა თავის მოწაფეებთან მრავალ ცდებს, ექსკურსიებსა და სხვ.

ვ. პეტრიაშვილი დიდად იყო დაინტერესებული სამხრეთ რუსეთის მიწათმოქმედების საკითხებით და მონაწილეობას იღებდა ყველა ღონისძიებაში, რაც კი მისი განვითარებისათვის კეთდებოდა. ხედავდა რა მრავალ საერთოს სამხრეთ რუსეთისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის პირობებში, ვ. პეტრიაშვილი სამხრეთ რუსეთის სოფლის მეურნეობის შესწავლის საფუძველზე მიღებულ გამოცდილებას ფართოდ იყენებდა თავისი სტატიებისათვის, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში, და მრავალი განმარტებისათვის, რასაც იგი აძლევდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიღებულ შეკითხვებზე.

ვ. პეტრიაშვილი ოდესის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მუდმივი და აქტიური წევრი იყო. ამ საზოგადოების მუშაობაში ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მოსეშვილი, ა. კლდიაშვილი და მთელი რიგი სხვა ქართველი მეცნიერი მუშაკები.

ვ. პეტრიაშვილის ნიადაგ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობა. მან ქართულ ენაზე შექმნა ორი ფუნდამენტური სახელმძღვანელო მევენახეობა-მეღვინეობისა და რძის მეურნეობის შესახებ, რომლებშიც განზოგადებული იყო იმ დროის მთელი მოწინავე გამოცდილება საქართველოს სოფლის მეურნეობის ამ ორ მნიშვნელოვან დარგში. მაგრამ ღირებულება ამ სახელმძღვანელოებისა, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა, მარტო ამაში როდი იყო. ვ. პეტრიაშვილმა პირველმა შემოიღო ზუსტი მეცნიერული ტერმინოლოგია, ახალი საბუნებისმეტყველო მეცნიერული ენა.

ვ. პეტრიაშვილის სტუმართმოყვარე ოჯახი წარმოადგენდა ცენტრს, სადაც იკრიბებოდა არა მარტო ოდესელი ქართველობა, არამედ ოდესის მთელი მოწინავე პროგრესული საზოგადოება. სამშობლოს დაშორებული მეცნიერები — ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი, აქ სამშობლოს ინტერესებით სულდგმულობდნენ.

ვ. პეტრიაშვილი გარდაიცვალა 1908 წელს 8 აგვისტოს კარლსბადში, სადაც სამკურნალოდ იმყოფებოდა. მისი ნეშტი უცხოეთიდან გადმოასვენეს და ოდესაში დაკრძალეს. მის დაკრძალვაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციები ჩავიდნენ საქართველოდან. ქართველმა ხალხმა მწვავედ განიცადა თავისი საამაყო შვილის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დაკარგვა.

40 წელი გავიდა ვ. პეტრიაშვილის გარდაცვალებიდან. ქართველი ხალხი, სიამაყით იგონებს თავისი სახელოვანი შვილის, შესანიშნავი მეცნიერის სახელს.

ე. წულაძე

15 დეკემბერს მოწვეულია მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

15 დეკემბერს მოსკოვში მოწვეულია საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი.

პლენუმზე განხილულ იქნება მოხსენებანი: სომხური, ლატვიური და ყაზახური ლიტერატურა ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ.

შემდეგ პლენუმი განიხილავს მოხსენებას — საბჭოთა დრამატურგია დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ, — აგრეთვე კინემატოგრაფიის სამინისტროს 1949 წლის თემატური გეგმისა და სცენარებზე მწერალთა მუშაობის საკითხს. (საკდესი).

აკადემიკოს პ. გ. შიტის მოხსენება სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან

გორი. (საკ. კორ.). აქ 16 ნოემბერს ჩამოვიდა მეხილეობის ცნობილი სპეციალისტი, აკადემიკოსი პ. გ. შიტი.

17 ნოემბერს საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პარტიულ კაბინეტში გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ქალაქის პარტიული აქტივისათვის პ. გ. შიტმა წაიკითხა მოხსენება: „გორის რაიონში მეხილეობის მდგომარეობა და ხეხილის ბაღებში მოწინავე მეცნიერული აგროტექნიკის გატარების უახლოესი ამოცანები". მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. დამსწრეთა შეკითხვებზე აკადემიკოსმა შიტმა ამომწურავი პასუხი გასცა.

დაბა აგარის კეთილმოწყობა

აგარა, (საკ. კორ.). აგარის ბერიას სახელობის შაქრის ქარხნის კოლექტივმა წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა დაბის კეთილმოსაწყობად: კოლმეურნეთა სახლებში გაიყვანეს ელექტროგანათება, შეაკეთეს საავტომობილო გზები, დაასუფთავეს და ზამთრისათვის მოამზადეს მუშათა საერთო საცხოვრებელი ბინები, მოაწყეს კანალიზაცია. მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულდა დასასვენებელი პარკის კეთილმოწყობისათვის. კაპიტალურად შეკეთებულია სადაბო კლუბი და ბიბლიოთეკა, აშენდა ოთხბინიანი საერთო საცხოვრებელი, გაიხსნა ახალი სასადილო.

ახალი შემნახველი სალაროები

მეანაბრეთა მომსახურების, სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს წელს დამატებით უნდა გაეხსნა 21 შემნახველი სალარო. ეს დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული. ცენტრალური შემნახველი სალარო გაიხსნა ქალაქ რუსთავში. ახალი სალაროები გაიხსნა აგრეთვე აკარმარაში, ქლუხორის რაიონის სოფელ მადნისხევში, მერხეულში, კვაისის მშენებლობაზე, ქობულეთში, ქვიშხეთში, ჭიათურაში, თბილისის სტალინის რაიონში და სხვ.

ახლად გახსნილი სალაროები უკვე აწარმოებენ ოპერაციებს. რუსთავის შემნახველ სალაროში დღითიდღე მატულობს მეანაბრეთა რიცხვი. თბილისის ახლად გახსნილ სალაროში, რომელიც ჩელუსკინელთა ქუჩაზეა მოთავსებული ანაბრების თანხა 163.500 მანეთს უდრის. ანაბრის საგრძნობი თანხა აქვთ აგრეთვე ქვიშხეთის, აკარმარისა და სხვა სალაროებს.

ამჟამად საქართველოში სულ 575 შემნახველი სალაროა.

სამეცნიერო სესია

22 ნოემბერს საღამოს 8 საათზე იწყებს მუშაობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას გარდაცვალების წლისთავისადმი.

სესიას გახსნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. ბერძენიშვილი. პირველ სხდომაზე მოხსენებებს წაიკითხავენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ე. თაყაიშვილი („იკორთის ტაძარი და მისი წარწერები"), პროფესორი ვ. დონდუა („კალმასობა, როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში") და ნ. ხოშტარია („არქეოლოგიური გათხრები ვანში „კოლხეთის ექსპედიციის წინასწარი ანგარიშიდან").

მეორე სხდომაზე (23 ნოემბერს) მოხსენებით გამოვლენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტი გ. ჩიტაია „ზოგიერთი ეთნონიკური ცნობა ხალხურ გადმოცემებში", დოცენტი მ. ბერძენიშვილი — „მღელვარება თბილისის სემინარიაში 1840 წელს", პროფესორი შ. ასლანიშვილი—„სამაია" და დოცენტი კ. გრიგოლია—„ქართლის ცხოვრების" ერთი ადგილის განმარტებისათვის".

მესამე სხდომაზე (24 ნოემბერს) მოხსენებებს წაიკითხავენ პროფესორი დ. არაყიშვილი „წინარექრისტიანული მუსიკალური კულტურის გადმონაშთი ხალხური სიმღერები საქართველოში", დოცენტი ვ. ბარდაველიძე „ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან: მრავალსულიანობის კონცეფცია", დოცენტი რ. ხარაძე „ხევსურული ანდრეზი, როგორც ჩვეულებითი სამართლის ისტორიის შესწავლის წყარო" და ი. კალანდაძე „ანტიკური დროის აბანო არმაზისხევთან".

სხდომები შესდგება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1), სადაც აგრეთვე მოეწყობა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა.

22 და 23 ნოემბერს სხდომების დასაწყისი საღამოს 8 საათზე, 24 ნოემბერს დილის 11 საათზე.

„პირველი ნაბიჯი"

(პიესად გადმოკეთებული გიორგი წერეთლის რომანიდან. რუსთაველის თეატრში დადგა რეჟისორმა დ. ალექსიძემ, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე).

ამ გადმოკეთებული პიესით რომანის შინაარსი გაღარიბებულია, დედააზრი დაჩიავებული. გ. წერეთლის გაშლილი თხრობის სასცენოთ დაწნეხა-შემჭიდროებამ, დროის მოკლე მონაკვეთში მოქმედების მოქცევის აუცილებლობამ მთავარი გმირის სახე დააკნინა. ბახვა ფულავას სახეს საზოგადოებრივ ურთიერთობაში ზრდა-განვითარებით გახსნის საშუალება მოესპო, მრავალმხრივი დახასიათების სიღრმე და ტიპიურობით გამომსახველობის ძალა მოაკლდა.

გადმომკეთებელთ (ლ. ჭუბაბრიას და ირ. ჭავჭანიძეს) პროზაული ნაწარმოების სასცენოდ ჭრა-კერვაში სიმარჯვე კი გამოუჩენიათ, მაგრამ დედააზრის საზიანოდ. პიესაში წინ წამოწეული აღმოჩნდა ერემია წარბასი და მისი ავანჩავანის ავანტიურული თავგადასავალი. რომანის პიესად დაწრეტის შემდეგ სასცენოდ დარჩა სათავგადასავლო ნაცოდვილარი — გაბმული ქეიფის, ჩხუბისა და აყალმაყალის, კონტრაბანდისტობაში ხელის გამოღების, მზითვიანი ქალის ხელში ჩაგდების, თავდასხმისა და მკვლელობის, სასამართლოსაგან თავის დაღწევის და ბალ-ნადიმებზე ფუქსავატური დროსტარების წამქეზებელი ჩვენება. გასცენიურების ამგვარად წარმართვამ გ. წერეთლის რომანს სცენაზე ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა და აღმზრდელობითი ძალა მოაკლო.

რეჟისორი დ. ალექსიძე, ნაწარმოების იდეის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდებია საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის გამოხატვას, და ამით რამდენადმე გამოუსწორებია გამრუდებული პიესა. მაგრამ იმპროვიზებული კომიკური სცენების შექმნით გატაცებამ დამდგმელიც სპექტაკლის დედააზრს ააცდინა. მესამე მოქმედებაში, რკინიგზის სადგურზე მოქეიფე ერემიას სცენა გამოყენებულია მთელ პიესაში ორად-ორი გლეხკაცის ანეგდოტური გათამაშებისათვის. ამ სურათში კი სასურველი იყო რეჟისორს გამოეხატა მუქთახორა აზნაურების თავგასულობით აღშფოთებული გლეხობის საზოგადოებრივი ძალა. სპექტაკლი ბევრად უფრო ნათელი და აზრგარკვეული იქნებოდა რეჟისორს რომ ნიჭიერი მსახიობის ვ. დოლიძის მუშაობა ერემიას როლზე წარმოდგენის დედააზრისათვის დაემორჩილებინა.

ყოველივე ეს მით უფრო დასანანებელია, რომ სპექტაკლის დამდგმელთა ჯგუფს, აქტიორთა უფროს თაობას და განსაკუთრებით ახალგაზრდა მსახიობებს დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობის გრძნობით უმუშავნიათ. წარმოდგენა, რეჟისორული ფანტაზიის გამომხატველი სურათებით, მწყობრი მიზანსცენებით, მთელი რიგი სახების ალღოიანი მიგნებით, მხატვრის ნიჭითა და კომპოზიტორის კეთილშობილი გემოვნებით არის აღბეჭდილი.

ვინც კი ამ სპექტაკლს ნახავს, არ შეიძლება არ გაიხსენოს შთამბეჭდავი ძალის, ნამდვილად სახიერი და ბრწყინვალე რამდენიმე მიზანსცენა. მადამ სალის სამკერვალო სალონში ფიქრებით გართული ესმა ქუჩაში გამავალ ვიტრინის მინას ხელგაშლით მიყრდნობია; ქუჩაში, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ესმას ხელდასატაცებლად მკლავებსა შლის და მეორე მხრიდან მინას ეკვრის ერემია წარბა. ან კიდევ ერემია წარბას პარაზიტული ბუნების მამხილებელი სცენა,—ერემია სოვდაგრის სახლშია. სოვდაგრის ქალს კატოს ერემია თავის სიყვარულის დასამტკიცებლად ეხვევა და თან მის სამკაულზე რჩება თვალი.

„პირველი ნაბიჯი" აქტიორული ახალგაზრდობის ზრდის მაჩვენებელი სპექტაკლია. რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა აქტიორები ესწრაფვიან როლის გარკვეულ თვალსაზრისით გააზრებას, სახის თანამედროვეობის სამსჯავროში გამოტარებით განსახიერებას. ახალგაზრდობა გამოირჩევა შტამპისა და ტრაფარეტის უარყოფით, ახალის ძიებით, სწორმეტყველებისა და მოძრაობის კულტურით.

გ. გეგეჭკორი (ბახვა ფულავა) მშვიდი, სადა და მართალი განსახიერებით, თავით ბოლომდე აუცდენელი ზომიერებით თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს სპექტაკლში. მისი არც ერთი ჟესტი, არც ერთი სიტყვა არ ყვირის. ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს როლის გარეგნულ მხარეს. როდესაც ამ როლზე შემდგომი მუშაობით გ. გეგეჭკორი ნაწილობრივად მონოტონურ თამაშს თავს დააღწევს და გმირის ხასიათს სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა საშუალებით და ხერხით გამოაჩენს, მაშინ მის მიერ შექმნილი ბახვას სახე ჩვენი აქტიორული ახალგაზრდობის ღირსშესანიშნავი მონაპოვარი გახდება. ამავე როლში გ. კიკნაძე შთაბეჭდილებას ახდენს გარეგნულ სახიერებაზე მეტი ყურადღების მიქცევით, ახალგაზრდული სცენიური მომხიბვლელობითა და სცენაზე თავისუფალი თავდაჭერით.

თ. თეთრაძე (ესმა) განცდათა უშუალობითა და გულწრფელობით, ფაქიზი და წრფელი გრძნობის შთამბეჭდავი გადმოცემით მაყურებელთა ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს.

ნოდარ ჩხეიძეს (ნესტორი) თავით ბოლომდე როლი სწორად აქვს გააზრებული და ამ სპექტაკლშიც იგი მოწინავე აქტიორად ჩანს.

თ. ტატიშვილისა (გივი) და მ. ურუშაძის (მერაბი) ღირსებაა, რომ ზომიერებითა და ტაქტით შეძლეს თავიანთი სახეების მკვეთრი სოციალური დახასიათებით და მამხილებელი ძალით წარმოსახვა.

ერ. მანჯგალაძეს (ლებოვი) თავის ხმა ჯერ კიდევ ვერ შეუზომია რუსთაველის თეატრის დიდი სცენისა და დარბაზისათვის,—ზოგჯერ მისი სიტყვები პირველ რიგებშიც არ ისმის. ამ ახალგაზრდა აქტიორის ჩინებული მონაცემები დიდ სცენაზე ჯერ კიდევ გამოსამჟღავნებელია.

ექ. ვაჩნაძე (სოვდაგრის ცოლი) ათეული წლებით შექმნილ შტამპს თავს აღწევს, გარდასახვით თამაშობს და სრულიად თავისებურ სახეს გვიხატავს. ს. ისნელი (ზახარ პეტროვიჩი), გ. ნაჟროზაშვილი (გენერალი), ივ. ჯინჯიხაძე (პაველ ფომიჩი) გულდასმით და აზრიანად ასრულებენ თავიანთ როლებს. ლ. ღამბაშიძე (ლიზა და ქალი მოხელესთან) ორ ეპიზოდურ როლს სახესხვაობით თამაშობს და კომიკური განსახიერების ნიჭს იჩენს.

ბ. კობახიძეს (მეორე მგზავრი) მხატვრის თვალი აქვს, ცხოვრებაზე დაკვირვებით მოპოვებულს, მეხსიერებით შემონახულს სცენიური სახისათვის იყენებს და სრული გარდასახვით იუმორით აღსავსე სახეს ჰქმნის. დასანანებელია, რომ მას თავის პარტნიორ ნ. ანდრონიკაშვილთან ერთად სერიოზულ სპექტაკლში მხოლოდ უხამსი ანეგდოტის განსახიერება უხდება.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ვ. დოლიძის თამაშზე ერემია წარბას როლში. ეს ნიჭიერი მსახიობი, გარდა ერთი-ორი ეპიზოდისა, სპექტაკლის დედააზრის საზიანოდ მოქმედებს. ის მაყურებლის წინაშე თავმოწონებით თამაშობს, სახის სურათოვნობასა და გარეგნულ სახიერებაზეა გადაგებული. ვ. დოლიძე, ტიპის მამხილებელი ძალით წარმოსახვის ნაცვლად, თავის შექმნილ სახეს ესიყვარულება, მის უმსგავსობას ისე წარმოგვიდგენს, თითქოს შეჰხარისო. როლის ასეთმა წარმართვამ ამ სპექტაკლს ზიანი მოუტანა.

აქტიორულ ახალგაზრდობას გვერდში ამოსდგომია მსახიობთა უფროსი თაობა, რომლის გამოცდილება და ოსტატობა დიდ ძალას მატებს სპექტაკლს. დიდად ნაამაგდარი მსახიობის ნინო დავითაშვილის (ესმას დედა) სცენაზე ნახვა სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობას იწვევს. ნ. მესხიშვილი მოხდენილად და სახიერად ასრულებს ფრანგი მკერავი ქალის სალის როლს. ნ. ლაფაჩი (ვალიდა) შესანიშნავია მეოთხე მოქმედების მეორე სურათში (მისაღები ოთახი). დასანანებელია, სხვა სცენებში ასეთივე სრულყოფით რომ არ ჩანს. რ. ბერიძე (კატო) აზრიანად და იუმორით აშუქებს თავის როლს და შთამბეჭდავი ძალის ცოცხალ სახეს ჰქმნის.

დ. მჟავია (სოვდაგარი) ამ როლში არ გაჰყოლია მსახიობთა რამდენიმე თაობის შემოქმედებით და შრომით შექმნილ ტრადიციას, საიდანაც ბევრი რამ შტამპად იქცა. დ. მჟავიამ გაბედულად დაარღვია თბილისელი მოქალაქის განსახიერების შტამპი; ქალაქური კილოს ხაზგაუსმელად, დაწყნარებული და ძუნწი ჟესტით, ბრწყინვალე გრიმით და უსიტყვო ადგილების დახელოვნებული შესრულებით დ. მჟავიამ სრულიად ახალი სახე შეჰქმნა და ახალი კარი გახსნა ამგვარი როლების განსახიერებაში.

ემ. აფხაიძე (ჯგირი-კოჩა) ჰქმნის მეფის მოხელის განზოგადოებულ მამხილებელ სახეს და თავის ცოცხლად გამომსახველი ხელოვნებით სპექტაკლს აღმზრდელობით, ისტორიულ-შემეცნებით მნიშვნელობას მატებს. გ. სარჩიმელიძემ (ნიკოლაი სემიონოვიჩი) მოხუცი არშიყის საინტერესოდ მოფიქრებული, დეტალებით ხასიათის დამსურათებელი სახე შეჰქმნა.

თეატრის ახალგაზრდობა სპექტაკლის მასობრივ სცენებში დაკვირვებით და სერიოზულად მუშაობს.

ფ. ლაპიაშვილის სახით რუსთაველის თეატრმა უთუოდ ნიჭიერი მხატვარი შეიძინა. ნავსადგური და ბახვას ეზო მხატვარს თავდაჭერილი გემოვნებით და ნამდვილად ფერმწერლის ალღოთი აქვს შესრულებული. ეფექტიანი და მდიდრულია კოსტუმები.

როგორც ვნახეთ, ამ სპექტაკლში დამდგმელთა ჯგუფი და მსახიობები მთელ რიგ წარმატებას აღწევენ, მაგრამ სერიოზულმა ნაკლმაც იჩინა თავი. ეს ნაკლი ერთის მხრივ, რომანის დედააზრს აცდენილი პიესიდან მომდინარეობს, ხოლო მეორე მხრივ სცენაზე უიდეო შემოქმედების რეციდივით ღრმავდება. საჭიროა თეატრმა ეს ნაკლი გამოასწოროს და სპექტაკლის იდეურ-აღმზრდელობითი ძალა გაზარდოს.

დ. ჯანელიძე

რატომ ითმენენ ტრაქტორების გაცდენას?

34 კოლმეურნეობას ემსახურება კასპის მტს-ი, რომელიც 8 სატრაქტორო ბრიგადისაგან შესდგება. მტს-ში დიდი ჩამორჩენა იყო საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის საქმეში.

— რით ხსნით ხვნა-თესვაში ჩამორჩენას? — ვკითხეთ მტს-ის დირექტორს ამხ. ი. ბაკურაძეს.

— საშემოდგომო თესვა 10-15 დღის დაგვიანებით დავიწყეთ. ამან დიდად დაგვწია უკან, — თქვა ამხ. ბაკურაძემ.

ეს მართალია, მაგრამ სწორი როდი იქნება, რომ ჩამორჩენა მარტო თესვის გვიან დაწყებით ავხსნათ. მთავარი მიზეზი ის არის, რომ სატრაქტორო პარკი ცუდად მუშაობს: მაგალითად, განვლილ 10 თვეში სატრაქტორო პარკის მოცდენამ 150 ტრაქტორ-დღე შეადგინა. ამაში შედის ოქტომბრის პირველ ნახევარში გაცდენილი ის 10 დღე, როცა 8 სატრაქტორო ბრიგადა უქმად იდგა ზეთის უქონლობის გამო. ხოლო რატომ არ იყო ზეთი? იმიტომ, რომ უყაირათო მუშაობამ 2,5 ტონა ზეთის გადახარჯვა გამოიწვია. ამ საქმეში დამნაშავენი თავს არხეინად გრძნობენ.

ამხ. ბაკურაძის განცხადებით სოფელ ნიგოზას საკოლმეურნეო მინდვრებში სამი თვის განმავლობაში უქმად იდგა „ნატის" მარკის ერთი ტრაქტორი. იგი მხოლოდ ამ სამი დღის წინ ძლივს აამუშავეს. საკითხავია, რათ მოაცდინეს ტრაქტორი სამ თვეს?!

სოფელ ალაიანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში პირველიდან 7 ოქტომბრამდე გაცდა № 15 ტრაქტორი. ამ მანქანის მცველად გამოყოფილმა ს. მარტაშვილმა ტრაქტორის მაგნეტო გაიტაცა. მარტაშვილის ბოროტმოქმედებით მტს-მა 2.509 მანეთის ზარალი ნახა. მტს-ის დირექტორის ამხ. ბაკურაძის და ალაიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ი. ილურიძის წაყრუებით ბოროტმოქმედის წინააღმდეგ სათანადო ზომები არ მიუღიათ. ამავე დროს ალაიანში მომუშავე ი. ფარქოსაძის სატრაქტორო ბრიგადა ჩამორჩენილია.

ზოგიერთი კოლმეურნეობა საკმაო დახმარებას არ უწევს მათთან მომუშავე სატრაქტორო ბრიგადებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელის ამხ. ო. გუგულაშვილის შემდეგი განცხადება:

— ბრიგადაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 4 ტრაქტორია. წლიური გეგმა 105,5 პროცენტით შევასრულეთ. საწვავის ეკონომიაც გავწიეთ. ტრაქტორისტებმა ჶ. ბედოშვილმა, მ. კუნდუხაშვილმა და მ. გოჭოშვილმა წლიური დავალებები 130-160 პროცენტით გაანაღდეს. კოლმეურნეობამ თესლი დაგვიანებით გამოგვიგზავნა, რის გამო რამდენიმე დღე მოვცდით. სულ ქვემო ჭალის საკოლმეურნეო მინდვრებში შემოდგომის თესვაზე 25 დღეს ვიმუშავეთ.

ამის შემდეგად ამხ. გუგულაშვილის ბრიგადამ მწკრივად თესვის გეგმა ქვემო ჭალის კოლმეურნეობაში ვერ შეასრულა. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მაჭარაშვილმა ამ ბრიგადას მწკრივად თესვის ჩატარება აღარ დააცალა ეგრეთ წოდებულ „ტორტლისპირა მიწებში", 25 ჰექტარზე. რათ დაივიწყა ამხ. მაჭარაშვილმა უდავო აგრონომიული ჭეშმარიტება, რომ მწკრივად ნათესი ხორბალი მოსავლიანობას თვალსაჩინოდ ზრდის.

სწორია, როცა ამხ. ბაკურაძე აკრიტიკებს ზოგიერთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, რომლებიც არასაკმაოდ ეხმარებიან სატრაქტორო ბრიგადებს. კარგია, ისიც რომ დირექტორი თვითკრიტიკულად აღიარებს მტს-ის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას. მაგრამ მარტო ეს არ შველის საქმეს. განა არ შეიძლებოდა მუშაობის ისე მოწყობა, რომ ხვნა-თესვა აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებულიყო?

ს. ყურაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

პირობა შესრულებულია

გურჯაანი, (საკ. კორ.). ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. საუკეთესო წარმატება აქვს მერგოლურს ა. მიტიჩაშვილს. მას ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება მოსავლელად მიჩენილი 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოეყვანა 80 ცენტნერი ყურძენი. შრომის სწორად მოწყობისა და სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად რგოლმა ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდა, 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103 ცენტნერი ყურძენი.

მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურმა ამხ. მინადორაშვილმა 3 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიწია 130 ცენტნერი ყურძენი. ასევე წარმატებით იმუშავეს ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოფელ შაშიანის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა გ. მესხმა, ურიათუბნის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავის" წევრმა ი. ავეტიკოვმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

18 ნოემბრის დილისა და დღის პლენარული სხდომები

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით და დღისით შედგა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომები.

დილის სხდომაზე განხილულ იქნა ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული მთელ რიგ რეზოლუციათა პროექტები. ეს პროექტები მოწონებულ იქნა უკამათოდ. წინააღმდეგობა გამოიწვია მხოლოდ რეზოლუციის პროექტმა, რომელიც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავანსებსა და საბრუნავი სახსრების ფონდებს. ეს პროექტი მოითხოვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხარჯზე აენაზღაურებინათ ის თანხა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბრუნავი სახსრების ფონდიდან გაიცა როგორც ავანსი ვაჭრობის საკითხებზე ჰავანაში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის ხარჯების დასაფარავად.

სსრ კავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა როშჩინმა აღნიშნა, რომ ხსენებული სახსრები გაიცა სესხის სახით და ანაზღაურებულ უნდა იქნას მით უფრო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი არ არის. როშჩინმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიუჯეტით ამ ხარჯების დაფარვის შესახებ მეხუთე კომიტეტმა მხოლოდ 17 ხმით მიიღო 15 ხმის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი დაჟინებით მოითხოვდა რეზოლუციის პროექტის მიღებას, და პლენუმმა ხმის უმრავლესობით მიიღო ეს პროექტი იმ სახით, როგორც კომიტეტმა წარადგინა.

რეზოლუციის მიღება სამეურვეო საბჭოს მოხსენების გამო

შემდეგ ასამბლეის პლენუმი შეუდგა სამეურვეო საბჭოს მოხსენების გამო წინადადებათა და რეზოლუციის პროექტების განხილვას, რომლებიც მეოთხე კომიტეტმა მოამზადა.

უკამათოდ მოწონებულ იქნა კომიტეტის მიერ შეტანილი ფორმალური რეზოლუცია იმის შესახებ, რომ სამეურვეო საბჭოს მოხსენება მიღებულ იქნას ცნობად. მაგრამ იმ ადმინისტრაციული კავშირების შესახებ მეოთხე კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლუციის განხილვისას, რომლებიც გავლენას ახდენენ სამეურვეო ტერიტორიების მდგომარეობაზე, დისკუსია გაჩაღდა.

სამეურვეო ტერიტორიების ადმინისტრაციული კავშირები მეზობელ კოლონიებთან ითვალისწინებენ ეკონომიკის, ფინანსების, ვაჭრობის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგისა და ყველა სახის ტრანსპორტის გაერთიანებას, აგრეთვე ერთიანი საკანონმდებლო ორგანოებისა და გაერთიანებული უმაღლესი ადმინისტრაციის შექმნას. კოლონიური სახელმწიფოებისათვის ეს კავშირები წარმოადგენენ კოლონიების მიერ სამეურვეო ტერიტორიათა ჩანთქმისა და მათი ანექსიის საშუალებას. ამიტომ კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენელნი ადმინისტრაციული კავშირების შესახებ რეზოლუციის პროექტის განხილვისას მეოთხე კომიტეტში ცდილობდნენ, რომ მიღებული ყოფილიყო რეზოლუცია, რომელშიც არ იქნებოდა მათთვის მიუღებელი პუნქტები. მაგრამ იმ წინააღმდეგობის შედეგად, რაც კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენელთა ამ მისწრაფებას საბჭოთა კავშირისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა გაუწიეს, მოხერხდა, რომ რეზოლუციაში დარჩენილიყო რამდენიმე პუნქტი, ისიც უაღრესად ზოგადი ფორმით ჩამოყალიბებული, მიმართული იმისაკენ, რომ ხელი შეეწყოს სამეურვეო ტერიტორიათა პროგრესულ განვითარებას.

გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე რეზოლუციის განხილვისას ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა, რომელიც კოლონიური სახელმწიფოების ინტერესებს იცავდა, მოითხოვა ამოეღოთ მთელი რიგი პუნქტები კომიტეტის მიერ მოწონებული რეზოლუციიდან. მან ჩამოთვალა ეს პუნქტები და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს რეზოლუციიდან მათს ამოღებას. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის ამ გამოსვლას მხარი დაუჭირა საფრანგეთის დელეგატმა და მთელმა რიგმა დელეგაციებმა, რომლებიც მორჩილად მიჰყვებიან ინგლის-ამერიკის ბლოკს.

სსრ კავშირის დელეგაციის სახელით გამოსულმა ს. ცარაპკინმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის წინადადება რეზოლუციიდან მთელი რიგი პუნქტების ამოღების შესახებ. მან განაცხადა, რომ როგორც მეოთხე კომიტეტში სამეურვეო საბჭოს მოხსენების განხილვამ ცხადჰყო, მდგომარეობა სამეურვეო ტერიტორიებზე მეტად არადამაკმაყოფილებელია. ამ ტერიტორიებზე უკიდურესად ჩამორჩენილია მკვიდრი მოსახლეობა. როგორც ის ფიქსირებულია სამეურვეო საბჭოს ოფიციალურ მოხსენებაში, ეს მოსახლეობა მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს, რის გამო არ შეუძლია განავითაროს თვითმმართველობის საკუთარი ორგანოები. სამეურვეო ტერიტორიების ეკონომიკა მახინჯი კოლონიური ხასიათისაა. ფართოდ არის გავრცელებული მკვიდრი მოსახლეობის დისკრიმინაცია მმართველობის, ხელფასის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში და სხვ. საგადასახადო პოლიტიკას მმართველი ხელისუფალნი ფართოდ იყენებენ იმის საშუალებად, რომ მკვიდრი მოსახლეობა მცირე ხელფასზე ამუშაონ მაღაროებში, პლანტაციებში და ევროპული კომპანიების კუთვნილ სხვა საწარმოებში. მმართველ ხელისუფალთ მოეთხოვებათ სერიოზული ღონისძიებანი, რათა გამოასწორონ მდგომარეობა და, როგორც ამას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 76-ე მუხლი მოითხოვს, მისცენ სამეურვეო ტერიტორიების მკვიდრ მოსახლეობას პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ დარგებსა და განათლების დარგში განვითარების შესაძლებლობა, აგრეთვე უზრუნველყონ ამ ტერიტორიების მოსახლეობის პროგრესული განვითარება თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობის მიმართულებით.

ცარაპკინმა აღნიშნა, რომ სამეურვეო ტერიტორიების ადმინისტრაციული კავშირები მეზობელ კოლონიებთან ეწინააღმდეგება ამ ამოცანებს. ამ მოსაზრებათა გამო სსრ კავშირის დელეგაცია იმის წინააღმდეგი იყო და ახლაც არის, რომ დაშვებულ იქნას ამგვარი კავშირები და, მისი აზრით, სამეურვეო ტერიტორიებზე უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ადმინისტრაცია, რომელიც კოლონიურ ადმინისტრაციაზე დამოკიდებული არ იქნება.

კოლონიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინააღმდეგობის გამო მეოთხე კომიტეტმა ვერ შესძლო შეემუშავებინა შეთანხმებული წინადადებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სამეურვეო ტერიტორიების განვითარების დამოუკიდებლობას. მაგრამ რეზოლუციაში მაინც მოიპოვება დებულებანი, რომლებიც რამდენადმე მიმართულია სამეურვეო ტერიტორიების სტატუტის შენარჩუნებისა და ამ ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესთა დაცვისაკენ. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია თუმცა ამ რეზოლუციას არასაკმარისად თვლის, მაინც ხმას მისცემს მას.

შემდეგ ცარაპკინმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის წინადადება რეზოლუციიდან მთელი რიგი პუნქტების ამოღების შესახებ მიზნად ისახავს ამოღებულ იქნას რეზოლუციიდან სწორედ ის, რაც თუმცა არასაკმარისად, მაგრამ მაინც შეიძლება იყოს ერთგვარი გარანტია იმის წინააღმდეგ რომ კოლონიებმა ჩანთქან სამეურვეო ტერიტორიები. საბჭოთა დელეგაცია, თქვა მან, იმ აზრისაა, რომ კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია შეიცავს მეტად ზომიერ და ერთობ ზოგადი ფორმით ჩამოყალიბებულ წინადადებებს. რეზოლუციის ტექსტიდან ამ წინადადებათა მნიშვნელოვანი ნაწილის გამორიცხვა თითქმის უსარგებლოს გახდის მას. ამ მოსაზრებათა გამო საბჭოთა დელეგაცია ამერიკის შესწორების წინააღმდეგია.

რეზოლუციის პროექტის მუხლობრივი კენჭისყრის დროს დელეგატების უმრავლესობამ იმას დაუჭირა მხარი, რომ რეზოლუციის პუნქტები რომელთა ამოღებასაც მოითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი, დაეტოვებინათ რეზოლუციაში. მაგრამ თავმჯდომარე ევატმა იმ საბაბით, რომ რეზოლუციები მეურვეობის საკითხის შესახებ მიღებულ უნდა იქნას სულ ცოტა ხმის ორი მესამედით, გამოაცხადა, რომ ეს პუნქტები ამოღებული იქნება რეზოლუციის ტექსტიდან რადგან ხმის $^2/_3$ ვერ მიიღესო.

სსრ კავშირის დელეგატმა მალიკმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა შეიტანა წინადადება რეზოლუციიდან მთელი რიგი პუნქტების ამოღების შესახებ, ამიტომ ამ წინადადებისათვის, როგორც რეზოლუციის შესწორებისათვის, არსებული წესების თანახმად, კენჭი უნდა ეყარათ პირველ რიგში. მაგრამ ევატმა იმ საბაბით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას ფორმალურად არ შეუტანია თავისი შესწორებანი, ძალაში დატოვა თავისი განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის მიერ აღნიშნული პუნქტების გამორიცხვის შესახებ.

ეკონომიური სტატისტიკის საკითხთა კონვენციის შესახებ

შემდეგ პლენუმმა განიხილა იურიდიული კომიტეტის მიერ მომზადებული პროექტი რეზოლუციისა იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადაეცეს რწმუნებანი და ფუნქციები, რომლებსაც წინათ ერთა ლიგა ასრულებდა ეკონომიური სტატისტიკის საკითხთა საერთაშორისო კონვენციით.

სსრ კავშირის დელეგატმა ა. არუთინიანმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს ამ პროექტის წინააღმდეგ, რადგან, მისი აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია იკისროს ფუნქციები იმ კონვენციით, რომელშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა არ იღებს მონაწილეობას. საერთაშორისო სტატისტიკის საკითხთა კონვენციას, რომელიც ხელმოწერილ იქნა 20 წლის წინათ, 1928 წლის დეკემბერში, შეუერთდა მხოლოდ 15 სახელმწიფო, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 14 წევრი, რაც ამ ორგანიზაციის წევრთა $^1/_4$-ზე ნაკლებს შეადგენს. არუთინიანმა მოაგონა სხდომას რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შექმნილია და მოქმედებენ სტატისტიკური კომისია ქვეკომისიებით და ეკონომიური სტატისტიკის საკითხების ექსპერტთა სპეციალური ჯგუფები.

გარდა ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსთან არსებობს სტატისტიკური განყოფილება. ამ ორგანიზაციათა არსებობის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის პრაქტიკულად აუცილებელი არ არის რაიმე ვალდებულება მიიღოს 1928 წლის 14 დეკემბრის კონვენციით. კონვენციის პროექტის მეორე მუხლი დისკრიმინაციულ რეჟიმს აწესებს სამეურვეო და არათვითმმართველ ტერიტორიებზე ამ კონვენციის გავრცელების საკითხში.

იურიდიული კომიტეტის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე ურუგვაისა და გვატემალის დელეგატებმა, რომლებმაც მოაგონეს სხდომას, რომ იურიდიულმა კომიტეტმა არგენტინის დელეგაციის დაჟინებული მოთხოვნით ამ პროექტიდან გამორიცხა პუნქტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ესპანეთს არ შეიძლება ნება მიეცეს შეუერთდეს კონვენციას, სანამ იქ ფრანკისტული რეჟიმი არსებობს. გვატემალის დელეგატმა აღნიშნა, რომ ფრანკისტულმა პრესამ გამოიყენა იურიდიული კომიტეტის ეს გადაწყვეტილება და გამოაქვეყნა იგი შემდეგი სათაურით „ესპანეთს იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტექნიკურ ორგანოში".

რეზოლუციის პროექტს კენჭი უყარეს და იგი მიღებულ იქნა 29 ხმით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციათა ნახევარმა არ დაუჭირა მას მხარი. 11 დელეგაციამ, მათ შორის სსრ კავშირის დელეგაციამ, წინააღმდეგ მისცა ხმა, 12 დელეგაციამ, მათ შორის საფრანგეთისა და ჩინეთის დელეგაციებმა, კენჭისყრაში თავი შეიკავეს, 6 დელეგაცია კენჭისყრას არ დასწრებია.

პლენუმმა დაამტკიცა შეთანხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ზღვაოსნობის სამთავრობათშორისო საკონსულტაციო ორგანიზაციას შორის. სსრ კავშირის დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა, რადგან საბჭოთა კავშირს მონაწილეობა არ მიუღია იმ კონფერენციაში, რომელზეც აღნიშნული ორგანიზაცია შეიქმნა.

პლენუმმა განიხილა ფინეთის განცხადება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ და დაადგინა აცნობოს ამ ორგანიზაციას, რომ გენერალურ ასამბლეას ამ ორგანიზაციაში ფინეთის მიღების წინააღმდეგ არაფერი აქვს.

საფრანგეთის გაფიცულ მაღაროელებს უერთდებიან სავაჭრო ფლოტის დოკერები და მატროსები

პარიზი, 19 ნოემბერი. (საკდესი). საფრანგეთის მაღაროელთა გაფიცვა გრძელდება,—მაღაროელები აღსავსენი არიან გადაწყვეტილებით ბრძოლა გამარჯვებამდე განაგრძონ. მიუხედავად ოფიციალური ცნობებისა იმ პირთა შესახებ, რომლებიც მუშაობას შეუდგნენ და ამოღებული ქვანახშირის რაოდენობის შესახებ, მიუხედავად ეროვნულ კრებაში მთავრობის წევრთა მტკიცებისა, რომ გაფიცვა თითქოს უკვე შეწყდა, ეროვნული კრების იმ კომუნისტ დეპუტატთა განცხადებანი, რომლებიც მაღაროელთა რაიონებს წარმოადგენენ, აგრეთვე გაზეთების კორესპონდენტთა ცნობები და მაღაროელთა ფედერაციის ბიუროს კომუნიკე საწინააღმდეგოს მეტყველებენ.

„ყოველ დღე,—წერს გაზეთი „ლუმანიტე",—იმ მაღაროელთა სულ უფრო და უფრო მეტი რიცხვი, რომლებიც დროებით შეუდგნენ მუშაობას, კვლავ უერთდება გაფიცვას. ძალითა და მუქარით შახტებში შერეკილი მუშები კვლავ წყვეტენ მუშაობას.

მთავრობა აძლიერებს ზეგავლენასა და ტერორს, ახდენს ახალ დაპატიმრებებს, გაფიცულ მაღაროელთა ოჯახებს უსპობენ საოჯახო დახმარებას, მაღაროელთა ბავშვებს უსპობენ რძეს".

„გარის დეპარტამენტის მაღაროელთა ფედერაციის ენერგიული მოქმედების შედეგად,—სწერს გაზეთ „ლუმანიტეს" კორესპონდენტი,—მოხერხდა წინათ დაპატიმრებული 28 მაღაროელის განთავისუფლება". იმავე გაზეთის ცნობით, დამსჯელი რაზმები ქვანახშირის აუზებში აწყობენ „ნამდვილ ნადირობას ადამიანებზე".

მთელ საფრანგეთში დაიწყო საპროტესტო მოძრაობა კანონთა ახალი პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც მთავრობამ შეიტანა ეროვნულ კრებაში. დღითიდღე ფართოვდება უკმაყოფილება საფრანგეთის სავაჭრო ფლოტის დოკერებსა და მეზღვაურებში. მთავრობის უარმა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები ხელფასის მომატების შესახებ, იმ დოკერების წინააღმდეგ ჩატარებულმა რეპრესიებმა, რომლებიც სოლიდარობას უცხადებენ გაფიცულ მაღაროელებს, უკმაყოფილების ახალი ზრდა გამოიწვია.

დიუნკერკის ნავსადგურის 2 ათასმა დოკერმა, რომლებმაც მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწიეს თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, გაფიცვა გამოაცხადეს. მათ წინააღმდეგ გამოიყვანეს პოლიციის ძალები. დიუნკერკის დოკერებმა ნავსადგური დაკეტეს და მის გარშემო ბარიკადები ააგეს. პრესის ცნობით დიუნკერკში ჩადიან პოლიციის ახალი ნაწილები და „უშიშროების რესპუბლიკური რაზმები".

„დიუნკერკის ვაგზალში ჩამოსული შეიარაღებული ძალების რიცხვი,—სწერს „ფიგარო", 4 ათას კაცს აღწევს. დიუნკერკი მოგვაგონებს ფრონტისპირა ქალაქს ომის დროს. ქუჩებში მოძრაობას აწესრიგებენ შეიარაღებული მუზარადიანი ჯარისკაცები. ქუჩებში მოძრაობენ მოტონაწილეები, „ვილისები", მანქანები რადიოდადგმულობით, ჩრდილო აფრიკელი ჯარები და საინტენდანტო ნაწილები. სამხედრო ნაწილები მოთავსდნენ ქალაქის გარშემო. ნავსადგურის თავზე, სადაც დოკერებს ბარიკადები აქვთ მოწყობილი, დაფრინავს მზვერავი თვითმფრინავი და ნავსადგურში აგებული ბარიკადების სისტემის ფოტოგადაღებას ახდენს".

დიუნკერკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ქალაქში შეიარაღებული ძალების კონცენტრაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მიიღეს გადაწყვეტილება საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. საფრანგეთის ყველა ნავსადგურის დოკერთა ფედერაციამ გუშინ, ნავსადგურებში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, რომლის შედეგად დოკერთა დიდმა რიცხვმა აზრი გამოსთქვა გაფიცვის მოწყობის სასარგებლოდ, განაცხადა, რომ 22 ნოემბრიდან გაფიცვა მოეწყობა საფრანგეთის ყველა ნავსადგურში.

დოკერების ფედერაციამ მთავრობის მეთაურს კეის გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვს მასთან შეხვედრას. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მოელიან, რომ 22 ნოემბერს გაიფიცება 50 ათასი ფრანგი დოკერი.

უკვე რამდენიმე კვირაა გაფიცული არიან მარსელის ნავსადგურში მყოფი 70 ხომალდის მეზღვაურები. მარსელის მეზღვაურთა მოთხოვნაზე ხელფასის მომატების შესახებ მთავრობამ უპასუხა იძულებითი მობილიზაციის ბრძანებით. უკვე დაპატიმრებულია და სასამართლოს გადაეცა 34 მარსელელი მეზღვაური, რომლებიც არ დაემორჩილენ ამ ბრძანებას. მეზღვაურები და მეთაურთა შემადგენლობა მოითხოვენ ხელფასის მომატებას 35 პროცენტით, ვინაიდან საფრანგეთის მეზღვაურთა ხელფასი მსოფლიოში ყველაზე დაბალია.

„სავაჭრო ფლოტის ოფიცრები,—წერს გაზეთი „ლიბერასიონი",—აღშფოთებული არიან იძულებითი მობილიზაციის ბრძანებით. რეპრესიებმა დიუნკერკის დოკერების წინააღმდეგ შეიძლება მეზღვაურთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვიოს".

გუშინ რუანის ნავსადგურის მეზღვაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაფიცვის მოწყობის შესახებ. უკვე გუშინ რუანის ნავსადგურში გაიფიცნენ 16 გემის მეზღვაურები. გაფიცული არიან სეტისა და პორტ-დე-ბუკის ნავსადგურების მეზღვაურები.

დღეს გაფიცულ მეზღვაურებთან სოლიდარობის ნიშნად საფრანგეთის სავაჭრო ფლოტის ყველა გემის ოფიცრები საფრანგეთის ყველა ნავსადგურში აწყობენ ორსაათიან საყოველთაო გაფიცვას. გაფიცვა გამოცხადდა მას შემდეგ, რაც ეს გადაწყვეტილება განხილულ და მოწონებულ იქნა ყველა გემზე.

ფრანგი დოკერების ბრძოლა

პარიზი, 19 ნოემბერი. (საკდესი). პარიზში გაიმართა დოკერებისა და ნავსადგურის მუშების ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „ნავსადგურის მუშებთან კონსულტაციის შედეგად, რაც აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩაატარა, ნავსადგურის მუშათა უდიდესმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ვადაგანუსაზღვრელ საყოველთაო გაფიცვას. პატივს სცემენ რა დოკერებისა და ნავსადგურის მუშათა დიდი უმრავლესობის ნებას, რაც ბრძოლისაკენ არის მიმართული, კომიტეტის წევრებმა გადაწყვიტეს დააკმაყოფილონ მათი სურვილი—ჩაებან ბრძოლაში და ორშაბათიდან, 22 ნოემბრიდან, გამოაცხადონ ვადაგანუსაზღვრელი საყოველთაო გაფიცვა მეტროპოლიისა და ალჟირის ყველა ნავსადგურში".

გაზეთების ცნობებით, 17 ნოემბერს საღამოს ჟიულ მოკმა „უშიშროების რესპუბლიკური რაზმების" ათასზე მეტი პოლიციელი გაგზავნა დიუნკერკში, სადაც დოკერებმა გაფიცვა გამოაცხადეს და ნავსადგური დაიკავეს. იმავე საღამოს გაიმართა ყველა საწარმოთა პროფკავშირული წარმომადგენლების კრება, რომელზეც გადაწყდა სთხოვონ მშრომელებს დაუყოვნებლივ გამოაცხადონ ვადაგანუსაზღვრელი საყოველთაო გაფიცვა ყველა ქალაქში, თუ „უშიშროების რესპუბლიკური რაზმები" თავს დაესხმიან დოკერებს.

ტელეპრესის სააგენტო საბერძნეთის ახალი მთავრობის შედგენის შესახებ

პრაღა, 19 ნოემბერი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი წერს, რომ ლონდონელ მიმომხილველთა აზრით, სოფულის-ცალდარისის ახალი კოალიციური მთავრობის შექმნის შედეგად საბერძნეთის მთავრობის კრიზისის ეგრეთწოდებულ მოგვარებას ეტყობა ამერიკელთა კატეგორიული ბრძანების კვალი, რომელთა შეშფოთებაც მათი მარიონეტული საბერძნეთის სახელმწიფოს კრახის შესაძლებლობის გამო მატულობს.

პარლამენტის თვალსაზრისით ახალი კოალიცია მხოლოდ ახალი გამოცემაა ძველი კოალიციისა და პარლამენტში უმრავლესობას ვერ მიიღებს. საგულისხმოა, რომ ეს კოალიცია თავის საქმიანობას იწყებს იმის მოთხოვნით, რომ პარლამენტი საარდადეგოდ დაითხოვონ ორი თვით.

ბრიტანეთის რადიომაუწყებელი კორპორაციის ცნობის თანახმად, ახალ მთავრობას მწვავედ აკრიტიკებს როგორც ბერძენ მონარქისტ ფაშისტთა „მემარჯვენე", ისე „მემარცხენე" ფრთა.

გერმანიის გათიშვის გეგმები

პრესკონფერენციაზე გენერალ კლეისთან

ბერლინი, 17 ნოემბერი. (საკდესი). მაინის ფრანკფურტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა კლეიმ განცხადება გააკეთა „ბერლინის პრობლემისა" და დასავლეთ გერმანიის საოკუპაციო სტატუტის შესახებ.

როგორც დპდ-ის სააგენტო იუწყება, კლეიმ პასუხი გასცა კორესპონდენტის შეკითხვაზე, დანიშნულ ვადაზე ჩატარდება თუ არა არჩევნები ბერლინშიო, და განაცხადა „მე ვერ ვხედავ იმის მიზეზს, რომ არჩევნების ახალი ვადა დავნიშნო. არჩევნები შედგება დანიშნულ ვადაზე". კლეის შესაძლებლად მიაჩნია, რომ 5 დეკემბრის არჩევნების შემდეგ ბერლინის საბჭოთა სექტორი მთლიანად გამოყოფილი იქნება ქალაქის დასავლეთი ნაწილისაგან

ადნის ცნობით, კლეიმ ფრანკფურტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობის შექმნის ვადა ჯერ კიდევ არ არის დაწესებული. ეს ღონისძიება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ტემპებით შემუშავდება დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს „კონსტიტუცია".

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტო ბერლინიდან გადმოგვცემს, გენერალმა კლეიმ მაინის ფრანკფურტში განაცხადა, რომ ბერლინში 5 დეკემბრის სეპარატული კომუნალური არჩევნების შემდეგ ბერლინის დასავლეთ სექტორები მთლიანად დახურული და გამოყოფილი იქნებიან საბჭოთა სექტორისაგან. ამ არჩევნებს, რაც ბერლინის დასავლეთ სექტორებში ტერორის ვითარებაში ჩატარდება, თვითონ გენერალი კლეი, ეტყობა, ნაკლები რწმენით უყურებს. მან განაცხადა, რომ ამ არჩევნების ჩატარებისათვის „მთელი პასუხისმგებლობა გერმანულ ადმინისტრაციას ეკისრება".

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 19 ნოემბერი. (საკდესი). შესვენების შემდეგ ეროვნულ კრებაში გრძელდებოდა შეტანილი ინტერპელაციების განხილვა.

პირველი გამოვიდა ტარნის დეპარტამენტის დეპუტატი სოციალისტი დეიქსონი, რომელმაც ისევე, როგორც ჟიულ მოკმა, როლენმა, ლეკანდრმა და დეგოლელმა მიუტერმა, გაიმეორა მონაჭორი მაღაროელთა, შრომის საყოველთაო კონფედერაციის და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ „საბოტაჟისა" და შრომის თავისუფლებისა და „ეროვნულ დოვლათზე", „ხელყოფის" შესახებ.

დეიქსონი გამოვიდა ცილისმწამებლური მონაჭორით შრომის საყოველთაო კონფედერაციის პროფკავშირთა სადეპარტამენტო გაერთიანების ხელმძღვანელების გაროდისა და ფაბრის მიმართ და გაილაშქრა მარქსიზმის წინააღმდეგ.

ჟიულ მოკის წინააღმდეგ ნამდვილი საბრალდებო სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა დეპუტატმა ვალდეკ როშემ, რომელიც დეიქსონის შემდეგ გამოვიდა. ვალდეკ როშემ დაამტკიცა, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილი გაფიცვის უფლება უხეშად დაარღვიეს მთავრობამ და მისმა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

„იმისათვის, რომ ეს უფლება დაერღვია, ჟიულ მოკმა შექმნა ლეგენდა „აჯანყების ხასიათის მქონე მოძრაობის" შესახებ. არსებითად კი ჟიულ მოკის ძირითადი მიზანი იყო დაუნდობელი ბრძოლა დაეწყო მაღაროელთა წინააღმდეგ. ჟიულ მოკი სიმკაცრესა და ტერორს ქვანახშირის აუზებში შრომის თავისუფლებისა და ეროვნული დოვლათის დაცვის საჭიროებით ამართლებდა. მაგრამ ლუარის დეპარტამენტის მაღაროელთა 90 პროცენტმა რეფერენდუმის შედეგად აზრი გამოსთქვა გაფიცვის მოწყობის სასარგებლოდ. გაფიცვის დროს არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. ჟიულ მოკი შახტების ოკუპაციას იმით ამართლებდა, რომ მაღაროელებმა შეწყვიტეს მეთვალყურეობა შახტებისა და მოწყობილობის მდგომარეობისადმი. მაგრამ მონსო-ლე-მინის მაღაროელებს ოკუპაციის მომენტამდე შახტები და მოწყობილობა საუცხოო მდგომარეობაში ჰქონდათ. მონსო-ლე-მინის შახტები ოკუპირებულ იქნა მოკის ბრძანებით სრულიად უსაბაბოდ. ამასთან ერთად დააპატიმრეს ათი მაღაროელი. შეიარაღებული ძალების ჩარევამ, რაც არაფრით არ იყო დასაბუთებული, გამოიწვია მაღაროელთა აღშფოთება, რომლებმაც კონტრიერიში მიიტანეს დამსჯელ ძალებზე, დაიკავეს შახტები და განაიარაღეს უშიშროების რესპუბლიკური რაზმების 150 პოლიციელი, მათ შორის ერთი პოლკოვნიკი. ჟიულ მოკმა ამ შემთხვევით ისარგებლა, როგორც ერთ-ერთი საბაბით, რომ განკარგულება გაეცა, რათა მაღაროელებისათვის სროლა აეტეხათ".

ჟიულ მოკმა ვერაფერი ვერ უპასუხა ვალდეკ როშეს მხილებაზე. მან მხოლოდ შესწორება შეიტანა, რომ მონსო-ლე-მინში ათასის ნაცვლად, მისი სიტყვით, „უშიშროების რესპუბლიკური რაზმების" მხოლოდ 550 პოლიციელი იყო.

ვალდეკ როშემ განაგრძო: „ჟიულ მოკის დაქირავებულნი სისხლისმღვრელ აწიოკებას უწყობდნენ მუშებსა და მათი ოჯახის წევრებს, თვითნებურად აპატიმრებდნენ მათ. როგორც ფრანგ, ისე უცხოელ მუშებს იარაღის მუქარით შახტებში ერეკებოდნენ. მონსო-ლე-მინის მაგალითი ამხილებს ჟიულ მოკის [illegible], რომ შეიარაღებული ძალები გამოყენებული იყო შრომის თავისუფლებისა და ეროვნული დოვლათის დასაცავად, ვინაიდან მონსო-ლე-მინში არ ყოფილა არც ერთი მაღაროელი, რომელსაც მუშაობის დაწყება სურდა, და თვით მაღაროელებს არასოდეს არ შეუწყვეტიათ მეთვალყურეობა შახტებისა და მოწყობილობის მდგომარეობისადმი. მონსო-ლე-მინში სრულიად უსაბაბოდ დააპატიმრეს პროფკავშირული აქტივისტი მონმარი. პოლიციაც კი, რომელსაც დავალებული ჰქონდა დაპატიმრება, დაიბნა, რადგან ვერ ნახა საკმაო საფუძველი დაპატიმრებისათვის. მაშინ მონახეს პროკურორი, რომელმაც ბრალდება შეთითხნა. სიცრუე, ცილისწამება, ტერორი—ასეთია მეთოდები ჟიულ მოკისა, რომელიც კაპიტალიზმის დარაჯი ქოფაკია".

ციფრებზე დაყრდნობით, ვალდეკ როშემ ცხადყო ფრანგი გლეხების სოლიდარობა გაფიცულ მაღაროელებთან. მაგალითად, ეროს დეპარტამენტის გლეხები, რომელთა დეპუტატია ჟიულ მოკი, ყოველ კვირა უგზავნიან მაღაროელებს ათობით სატვირთო მანქანით სურსათს. ერთი კვირის განმავლობაში გარის დეპარტამენტში შეაგროვეს და მაღაროელებს გაუგზავნეს 27 ტონა სურსათი, კორეზის დეპარტამენტში—50 ტონა სურსათი, მეზის დეპარტამენტში 40 ტონა კარტოფილი, სამი ვაგონი სხვა სურსათი და შეაგროვეს 180 ათასი ფრანკი და სხვა. ხომ არ ხედავთ ამაში, ჟიულ მოკ, „კომინფორმის დახმარებას"? გლეხებმა, საშუალო კლასებმა, ხელოსნებმა, ვაჭრებმა—იმ ადამიანებმა, რომლებიც განიცდიან თქვენი საგადასახადო დაბეგვრის ტვირთს, უფრო და უფრო გამოგიცნეს თქვენ. ჟიულ მოკის სახელი საზიზღარია არა მარტო შრომის საყოველთაო კონფედერაციის წევრ-მაღაროელთა შორის, არამედ „ფორს უვრიერის" და ქრისტიან მშრომელთა ფედერაციის მაღაროელთა შორისაც, რომლებმაც გაიგეს მისი გამცემლობა და უფრო და უფრო მეტი რაოდენობით შედიან შრომის საყოველთაო კონფედერაციაში".

ვალდეკ როშემ გამოაქვეყნა „ფორს უვრიერის" ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის წერილი, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს ჟიულ მოკს, ამხილებს „ფორს უვრიერის" გამცემლურ ხელმძღვანელობას და აცხადებს, რომ იგი უბრუნდება შრომის საყოველთაო კონფედერაციას, ვინაიდან იგი მუშათა კლასის ინტერესების დამცველი ერთადერთი ორგანიზაციაა.

ვალდეკ როშემ მიმართა მთავრობას და განაცხადა:

„თქვენ იღებთ უსაზიზღრეს კანონებს იმისათვის, რომ პირი აუკრათ ფრანგ ხალხს, მაგრამ თქვენ ამას ვერ მოახერხებთ. თქვენ ლაპარაკობთ სიღატაკეზე, მაგრამ სწორედ თქვენ ქმნით მას. თქვენ მიმართავთ ყოველგვარ მაქინაციას, რათა საარჩევნო კანონი თქვენ სასარგებლოდ გამოიყენოთ, ცილს სწამებთ კომპარტიას, თქვენ გსურთ შეაჩეროთ კომუნიზმის პროგრესული მოძრაობა, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ ეს თქვენ არ ძალგიძთ".

კომუნისტური ჯგუფი მქუხარე ტაშით მიესალმა ვალდეკ როშეს გამოსვლას.

ამით დამთავრდა სხდომა. შემდეგი სხდომა შედგება ხვალ 9 საათსა და 30 წუთზე.

საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს:

ეროვნული საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიამ დღეს დილით დაწვრილებით განიხილა რურის საკითხი. კომისიამ 22 ხმით 6-ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ რურის საწარმოთა საკუთრება აშკარად თუ ფარულად გადაეცეს არათუ ყოფილ გერმანელ მფლობელებს, არამედ ყოველგვარ კომპანიას ან ორგანიზაციას, სახელმწიფო იქნება თუ კერძო, რომელსაც შეეძლება ოდესმე ჩადგეს მშვიდობისათვის საფრთხის შემცველი პოლიტიკის სამსახურში. კომისია სურვილს გამოთქვამს, რომ იმ მოლაპარაკების დროს, რაც ამჟამად ლონდონში მიმდინარეობს, საფრანგეთის მთავრობამ ყოველივე შესაძლებელი გააკეთოს, რათა მიღებულ იქნას ეროვნული კრების მიერ შედგენილი რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო კონტროლის დაწესებას არა მარტო რურისადმი, არამედ რურის შახტებისა და მრეწველობის ძირითადი დარგების მართვისადმიც, აგრეთვე რურის პროდუქციის გასაღებისადმი.

კომისიამ სურვილი გამოთქვა მოუსმინოს საგარეო საქმეთა მინისტრს და გადაწყვიტა ითხოვოს, რომ უახლოეს ხანში ნაციონალურ კრებაში გაიხსნას კამათი რურის საკითხზე.

დალესი დაინიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურის მოვალეობის აღმსრულებლად

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კი-უესტიდან (ფლორიდის შტატი) იუწყება, რომ ტრუმენმა ჯონ ფოსტერ დალესი დანიშნა გენერალურ ასამბლეაში ამერიკის დელეგაციის მეთაურის მოვალეობის აღმსრულებლად, რადგან მარშალი ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრუნდება 22 ნოემბერს ტრუმენთან სათათბიროდ. ამასთანავე ტრუმენმა გენერალურ ასამბლეაში ამერიკის მთავარ დელეგატად, ნაცვლად ოსტინისა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა დაბრუნდეს ავადმყოფობის გამო, დანიშნა ბენჯამენ კოენი. ამერიკის დელეგატის მოადგილის პოსტზე კოენის ნაცვლად იქნება სახელმწიფო დეპარტამენტის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი დინ რასკი.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

22 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ამხ. კალაძე წაიკითხავს ლექციას ახალგაზრდობისათვის. თემა: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება დოცენტ ცინცაძის კონსულტაცია სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის სხდომის დარბაზში (საბჭოს ქ. № 134) მოწვეულია **საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის V პლენუმი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სსრ კავშირის
კავშირბაბეჭდურის
სამინისტრო

„სოიუზპეჩატი"

დაიწყო ხელმოწერა
1949 წლისათვის
ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო
და სარაიონო ჟურნალ-გაზეთებზე.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" განყოფილებებში, ფოსტაში—ყველგან და აგრეთვე ხელმოწერის საზოგადოებრივ რწმუნებულებთან ფაბრიკებში და ქარხნებში, სასწავლებლებში და დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში.

„სოიუზპეჩატის" საქართველოს განყოფილება

სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ი. ჩოჩიას მისი ბიძაშვილის **თამარ ბესარიონის ასულ ჩოჩია-ხოშტარიას** გარდაცვალების გამო.

დედა ელენე, მეუღლე ნატაშა ვაშალომიძე, შვილები გიეი, ნუნუ, რძალი რუსიკო, ძმა ლადო, დები თეოლინა, სონია ოჯახებით იუწყებიან **ალექსი გაბრიელის-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-XI, 7 ს. გამოსვენება 23-XI, 4 ს. გოგებაშვილის I შესახვ. 11.

შვილები დიმიტრი, ბორის, რძლები ქსენია, ვალია, შვილიშვილები ნელი, ანზორ, ზაირა შენგელაიები იუწყებიან **დესპინე შამშეს ასულ ხაჯაია-შენგელაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-XI ქ. სოხუმში, იპოდრომის, 7.

ლ. ბარამიძე, ნ. ებრალიძე, ა. ცინცაძე და ნ. წილოსანი იუწყებიან, რომ 21-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ვერა სამსონიას შვილის **ვაჟა პაპავას** პანაშვიდი.

უახლოესი ამხანაგები: ვ. ვახანია, მ. ებრალიძე, ლ. მახარაძე, ა. ბაქრაძე, გ. რუსია, კ. სანაია, ვ. ახვლედიანი, ლ. თუშიშვილი, მ. გაფრინდაშვილი, შ. ხანთაძე, ვ. საჯაია, შ. გვენეტაძე თანაგრძნობას უცხადებენ ასპირანტ ბ. დობორჯგინიძეს მისი დის **აგრაფინას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე გიორგი, შვილები ილია, დავით, გიორგი, რძლები ანა და ზიზილო ურუშაძეები იუწყებიან **ვერა ნესტორის ასულ ურუშაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-XI დ. ლანჩხუთში.

საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს ქუთაისის განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ილია ურუშაძეს მისი დედის **ვერა ნესტორის ასულ ურუშაძის** გარდაცვალების გამო.

სამტრედიის რკინიგზის № 24 ქალთა საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მასწავლებელ მარო გიორგაძეს მისი მამის **გიგო გიორგაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67. სამდივნოსი—3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფა ცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110.000

უე 17203